

15 | 2  
897

Nº VI

ՎԱՐԴԵՐ  
ՉՈՐՏՈՒՅՈՒՆ




1897 Ո Յ Ե Ո Ւ Ո

შ 0 6 0 5 0 6 0

ულრნალ „ჯეჯილისა“

I ყოველები, ლექსი — შ. მდგიმელისა . . . . .	3
II პატუა და მერცხალა (მოთხრობა), — განოსი . . . . .	5
III პატარა ქველ მომქმედი (ეტიუდი) — დუტუ-მეგრელისა . .	20
IV პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თარგმანი — ე — ქოსი . .	27
V გეელების ამბავი (თარგმანი) — ქოტესი . . . . .	40
VI თხა და მეტხარე, ლექსი (იგავი) — ბ. დავითა მვილისა . . .	48
VII მეფის ქორი და თფილისი — გ. წერტუბელისა . . . . .	50
VIII ჯემს გარეილდის ცხოვრება. (დასასრული), — ბატუასი . .	52
IX საკვირეელებანი ბუნებისა, (კრუბუთ) — ლ. ლინა მვილისა . .	57
X უსაქმურები — გ. გვარამძისა . . . . .	59
XI აქლემი და კოზაკი (ქილილა და დამანიდან) . . . . .	59
XII ორი ბავში (რუსულიდან), — ბ. კაშაძისაგან . . . . .	60
XIII აკროსტიხი, გამოცანა, რებუსი, ანდაზები, ჩქარა გამოსა- თქმელი და სხვა. . . . .	61

ულრნალ „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყო-  
ველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიღებენ წლის  
განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მავივრათ და ეურნალი  
მხოლოდ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 ბ.  
და ქალაქ გარეთ 5 ბ.)



ସାଧାରଣା ପାଠ୍ୟ ବାଚନ ପାଠ୍ୟ

ଶ୍ରୀ ରମେଶ୍

ନିଜାଳ୍ୟ, ମିଶାନ୍ତ ଜ୍ୟୋତିଷ  
ଦାତାରଳା, ଗାନ୍ଧୀ ପାନ୍ଦା..

ପ୍ରକାଶକ.

ନଂ VI

ବାଲପାତ୍ରମହାକାବ୍ୟ ଶ୍ରୀ

ପାଠ୍ୟ ପବ୍ଲିକ୍

ପ୍ରକାଶକ ପ. ଡ. ରମେଶ୍ ବାଲପାତ୍ରମହାକାବ୍ୟ || ତିପ. ମ. ଦ. ରୋତିନିଅନ୍ତା. ପ୍ରକ. ପାଠ୍ୟ ପବ୍ଲିକ୍ ଲି. ୫୧  
1897.

Дозволено цензурою Тифлисъ, 29-го Мая 1897 года.

ნ ი დ ი ლ ი თ — რ ა ქ ი ს ი წ ი რ ი წ ი —  
ა რ ი ს ლ ი ს მ ა რ ი ს ტ ი ს ი ს მ ა რ ი ს ტ ი — ა რ ი ს ლ ი



## უ რ უ რ ჩ ე ბ ი.

ო რ ი ც ე ლ ქ ი გ ა გ უ ლ ი ს დ ა,  
წ ა კ ი ნ კ ლ ა ვ დ ე ნ ... ი ც ი თ რ ა ზ ე ?  
თ ი ქ მ ი ს ჩ ხ ე ბ ი მ ო უ ვ ი დ ა თ  
ე რ თ ი კ ო ჭ ი ს თ ა თ ბ ა ზ ე .

— ა ბ ა მ ო დ ი , თ უ ბ ი ჭ ი ს ა რ  
დ ა გ უ ლ ა დ ი ფ ა ლ ა ვ ა ნ ი ,  
ი ს ე დ ა გ ც ე , რ ო კ ო რ ც ბ უ რ თ ი  
დ ა ჩ ა ლ ა ბ ზ ი ს გ ა ლ ა ვ ა ნ ი .

— ე რ თ ი შ ე ხ ე , ა ლ ა რ გ ა ხ ს ლ ვ ს ,  
კ ა ლ ი ზ ე რ ო გ ა ღ ი რ ი ა ლ ე ?  
ა ხ ლ ა ც ი მ ღ ღ ე ს დ ა გ ა უ ე ნ ე ბ ,  
მ ი ს ა მ ა რ ა ს გ ა მ ე ც ე ლ ე .

ს ა შ ა ს ა რ ი ს ა ლ ი ს
პ ა რ ლ ა მ ა ნ ე ს ტ ი ს
ე რ ო ვ 6 უ ლ ი ს
გ 0 8 ლ ი რ ი რ ე ვ ა

— ତଥୀ ଦୀଖି କୋଣ — ଯା ନାହିଁ  
 କିଲା — ମୁହଁରି ମନୋଧିରି;  
 „କାହିଁ ମନ୍ଦିର, ଗାଁଜାଗାର୍ଦ୍ଜେବା” —  
 ଏହି ପିଲାମାଟ୍ ଯାଇଗେଇରି;  
 ପିଲାମାଟ୍ ଓ ଯାଇନାଖେ  
 କାହିଁ, ଦେଖି ଯା କୁଳାରି  
 ଗର୍ବିର୍ଦ୍ଦ୍ଧ ଯା ମେହର୍ବିର୍ଦ୍ଦ୍ଧ  
 ଶବ୍ଦମୂଳିକାଙ୍କେନ ଗାଇପାରିବା.

୩. ମଲ୍ଲେଶ୍ଵର.



ଶ୍ରୀକୃତୀ
ମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରା
ମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରା
ମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରାମାତ୍ରା

## ჰაჭუა და მერცხალა.

(გადმოკეთებული)

### I.



ოდესაც დედამ ჰაჭუა სასწავლებელში  
 პირველათ მოივანა, მასწავლებელმა  
 ქალმა, ანანომ, გაკვირვებით შეხედა

მას და ჰქითხა:

— რა ჰატარა! რამდენი წლისა იქნება განა?

— მემვიდემი გადადგა, მენი ჭირიმე, მოახსენა მაკრი-  
 ნებ და მდაბლათ თავი დაუკრა.

მასწავლებელმა თავი გააქნია:

— მე მაგას ვერ მიყიდებ. ღიღებისათვისაც არ არის  
 ალფი და მაგხელა ბავშვი სად მოვათავსო? არა, არ შე-  
 მიძლია.

— მოიღე წეალობა, ქალბატონო, მიიბარე შენი მუ-  
 სლის ჭირიმე, დაუწეო მაკრინებ ხვეწნა: — გაჭირვებული  
 დედაქაცი შეძიბრალე; ქმარმა თქვენი ჭირი წაიღო, შეიდი  
 ობოლი კისერზე მახვევია; უკელა გოგო მაინც არ იერს!  
 თავი მაქ იმათვან გამორეტებული. გომბიოებს, როგორც  
 იქნება, საქმეს გავუჩენ, მაგრამ ამას რაღა ვუკო! მიიღე,  
 ქალბატონო, იქნება თქვენთან მაინც ისწავლის რამე.

მასწავლებელი ანანო გაჩუმებულიყო და ჰაჭუას მისწავლებოდა. ჰაჭუაც კოსტათ გამოჭიმულიყო და მასწავლებელს თვალს არ აძორებდა; ღერამიწაზე ძლივს ჩანდა; ხელში იმხელა ქუდი ეჭირა, რომ თავიდან ფეხებამდე შიგ ჩაეტეოდა; ქოჩორი გაჩეჩოდა; ცალი ლოება ლობიოთი ქონდა გაზუზნილი; ეტეობოდა, აღრე საუზმე მიერთმია.

— აბა ამას რა ვუკო? წარმოთქვა ღიმილით მასწავლებელმა, — ჯერ ლაპარაკიც არ ეცოდინება!

— რასა ბძნებ, ქალბატონო! წამოიძახა მაკრინემ:— ტანზე კი ნუ უურებთ, ისეთი უოჩადია, რომ! სწავლასაც მალიან არის მოწიდინებული. სულ იმას ჩამციებია, სასწავლებელში წამიუვანებო! აბა, ჭიჭიკო, მიუბრუნდა ის ჰაჭუას და ხელით ცხვირი მოხოცა: — რას გაჩუმებულხარ, მოუევი რასძე. თვარა მასწავლებელს ასე ჭიგონია, მუნკადო.

ჰაჭუამ ერთი ისერიტა, ქუდი აიქნია და წამოიძახა:

— მე რომ მერცხალა მეავს!

— რა მერცხალა? გადიხარხარა მასწავლებელმა.

— მაღლზე მოგახსენებსთ! წამოეშველა დედა; ერთი გლახა მაღლი გვეავს და ისე მიეჩია მაგას, რომ ვეღრაფრით ვერ მოგვიშორებია.

— დიას, გლახა გეგონება! — წამოიძახა გულხაკლუა მა ჰაჭუამ: — კარგია. უკანა ფეხებითაც დადის; აი გიშა არ არის!

შაჟუამ გააშეირბ თითო ფანჯრისაკენ, საიდანაც ბან-  
ჯგულიანი ძაღლის თავი მოჩანდა.

— ჴეი, ოოვორ წამოუუნტულა! სიხარულით განაგრ-  
ძო შაჟუამ: — ჩვენ გვიცდის! ეი, მერცხალა, მერცხალა, ქუ-  
ცი, ქუცი... და ამასთან ერთი ისეთი დაუსტვინა, ოომ  
მასწავლებელმა უურებზე ხელები მიიფარა. მერცხალამაც  
შატრონის ძახილზე გჭიდან მხიარულათ დაიუეფა და კუ-  
დი გააქიცინა.

— აი შე ეშმაკო, შენა! დატუქსა დედამ: რას ჩადი-  
ხარ! მასწავლებელი რას იფიქრებს? სასწავლებელში ხომ  
აღარ მიგიღებს?

მასწავლებელი ანანო გულიანათ იცინოდა, შემდეგ  
შიუბრუნდა მაკრინეს და უთხრა:

— კარგი, ხვალიდან სასწავლებელში გამოგზავნე  
ხოლომე.

— დატუქსე ხოლმე, ქალბატონო, ოომ აღარ იცელ-  
ქოს! გესმის, ბიჭო, სასწავლებელში უნდა იარო!

— რატომაც არ ვიგლი, დაეთანხმა შაჟუა და ერთი  
კიდევ შეისვრიტა.

— კარგათ ისწავლე, გესმის? ქალბატონშაც მადლობა  
გადაუხადე, ოომ მიგიღო, — ეუბნებოდა დედა.

— ჴო, ჴო, ბუზდუნებდა შაჟუა, თან ისვრიტებოდა  
და მხრებსაც ჩიტის ბარტევით ახვანხვალებდა.

მაკრინე სახლში გაბრუნდა; შაჟუამაც ჩამოიფარგა

თავზედ ქუდი და გამოუდგა უკან; რომ შეგეხედათ, ასე გეგონებოდათ, ძარტო ქუდი მიჩანჩალებსო. მერცხალაც სიხარულით მიეგება თავის ჰატრონს, შეახტა ზურგზე და ლაქუცი დაუწეო.

## II.

როდესაც მეორე ღღეს ჸაჭუა თავის მერცხალათი სა-  
სწავლებელში მოვიდა, შეგირდებმა სიცილი დაიწეს:

— ერთი შეხედეთ, ძარტო ქუდი არ არის! ძალლიც რომ მოუკვანია! ხა, ხა, ხა!

ჸაჭუა ხმას არ იღებდა, მხოლოთ ცხვირში ისვ-  
რიტებოდა და გულში ამბობდა: — ვეპრუწუწუნ, ჩემის-  
თანა მერცხალა ერთი თქვენც გეეოლებათო. ანანო  
შეგირდებს გაუჯავრდა, ჭიჭიკოს ნუ დასცინითო.  
შეგირდები დაწენარდენ, მხოლოთ ხანდიხან ერთმა-  
ნეთს წასხურჩულებდენ: ერთი შეხედე რა ჸაჭუა არისო!

უფროსმა შეგირდებმა ამიცანის კეთება დაიწეს, უნც-  
როსები კი ანა-ბანას იბეჭითებდენ. ჸაჭუასაც პირი დაეღო  
და იმათთან ერთათ გაიძახოდა; აააან, ბ-ააა-ნ....., ფანჯ-  
რის პირდაპირ კი მერცხალა წამომჯდარიულ და ჸაჭუას  
ელოდებოდა, როდის იქნება, რომ გამოვიდესო.

მეორე გაკვეთილზე მღვდელი მოვიდა; ის შეგირ-  
დებს საღმრთო რჯულს ასწავლიდა, ჸაჭუას დანახვამ ისც-  
განცვიფრებაში მოიუვანა.

— რა უოჩალი ბიჭია! წარმოთქვა მან და გადისვა წე-  
რებზე ხელი.

— ლოცვები ხომ იცი? ჰქითხა მან პაჭუას.

— ოოგორ არ ვიცი! უპასუხა ცქვიტათ პაჭუამ.

— აბა რა ლოცვები იცი?

— „მამაო ჩვენო“!

— კიდევ?

— კიდევ „ოომელი ხარ“!

მღვდელმა გაიცინა და პაჭუას თავზე ხელი გადუსეა.

პაჭუამაც გული მოიცა და, ოც რამ ცოლდა ან გაეგონა, სულ მამა ვასილს ძოუკვა...

გაკეთილებს შემდეგ პაჭუამ სახლისაკენ გასწია და თან ღიღინებდა: ააა-ნ, ბ-ააან....; მერცხსალასაც კუდი გა-დეგრისა და უკან მიჩანჩალებდა.



## III.

ჰაჭუა ისე კარგათ სწავლობდა, რომ უველას აჭობა, მხოლოთ შ-ს ვერაფერი მოუხერხა; რამდენს არ ცდოლობდა, არ იჭაჭებოდა, თავის ფსანასაც ატანდა, ცხვირ. შიაც ისვრიტებოდა, მაგრამ შ-ს მაგიერ სულ ს- გამოდიოდა; „შაშვი“-ს მაგიერ, „სასვი“-ს კითხულობდა, „შეშა“-ს მაგიერ — „სესა“-ს. ჰაჭუას გული მოსდიოდა, მით უძეტეს, რომ შეგირდები დაცინოდენ: აი შე „სასვი-სესაო“!

საზოგადოთ კი ჰაჭუა უველა შეგირდებს უუპარდოთ: უიმისოთ საუზმეს არავინ ჭამდა; უველა მას თაჭაზობდა ხოლმე. ჰაჭუაც სამაგიეროთ თავის მერცხალას ათამაშებდა, უკანა თათებზე აცუნდრუგებდა და ამით ამხანაგებს ამხიარულებდა.

ჰაჭუა სასწავლებელზე მაღიან შორს იუო, სოფლის განაპირას იდგა იმათი სახლი, მაგრამ სასწავლებელში უველაზე ადრე მოდიოდა.

გათენდებოდა თუ არა, ჰაჭუა სასწავლებლის კარებს არახელნებდა.

— შენა სარ ჰაჭუა? დაუმახებდა მასწავლებელი.

— ჟოოდე!

— შეგცივდა?

## პაჭუა და მერცხალა

11

— მე არა და მერცხალას კი სეცივდა, — უპასუხებდა ხოლმე ეშმაკი პაჭუა.

ანანობ მისი ოსტატობა იცოდა და ღიმილით ეტეო-  
და ხოლმე:

— საწეალი მერცხალა, შემოუშვი, გათბება!

პაჭუასაც ეს უნდოდა; მერცხალაც ფეხ აკრეფით შე-  
მოიჩარებოდა, კუდს გააქიცინებდა, მადლობის ნიმნათ, და  
ბუხრის გვერდით მსართებოზე გაწვებოდა. ანანო პაჭუას  
საუზმეს აჭმევდა ხოლმე; პაჭუასაც ბევრი ხვეწნა არ ჭირ-  
დებოდა...

კრთხელ ჩაც კი მიართვეს პაჭუას. პაჭუამ არც აცი-  
ვა, არც აცხელა, ჭიქიდან შაქარი კოვზით ნელა-ნელა  
ძმოაცოცა, შეასრამუნა და მდუღარე კი ფანჯარაში გადუ-  
ძახა.

— ეგ რა ჰქენი, პაჭუა, ჩაი რათ გადალვარე? — დაუ-  
კითხა ანანო.

— მე საქარი მირჩევნია; მდუღარე რათ მინდა! უპასუ-  
ხა პაჭუამ. ანანობ სიცილი დაიწეო და ამას შემდეგ ჩაის  
მაგიერ პაჭუას შაქარს მიართმევდა ხოლმე.

## VI.

დადგა ზამთარი. აუედა ქარ-ბუქი; სოფელი თოვლ-  
ქვეშ აღარც კი მოჩანდა. სასწავლებელში მოწაფეთა რიც-  
ხვი შემცირდა, რადგანაც ბევრი მათგანი შორს იდგა და

სიცივის გამო ვეღარ მოდიადა; ზოგს თბილი სახემთრო ტანისამოსი არა ჴქონდა; ესენი ხომ მალა უნებუროთ სახლში უნდა მჯდარიულენ, სანამ არ დათბებოდა. მაკრინი დიდ გაჭირვებაში იუო: ერთი ქალი ეველა საქმეს თავს გერ ართმევდა; ბანს გადათოვლა უნდოდა, საქონელს საკვების მოტანა საბძლიდან; სარჩოც ნაკლებათა ჴქონდა; მასწავლებელი ანანო და მამა ვასილი ეხმარებოდენ მას, მაგრამ ის მაინც დიდ გაჭირვებაში იმუოფებოდა. მიუწერათ უოგელივე ამისა, პაჭუას ერთი გაკვეთილიც არ გამოუშვია.

მასწავლებელმა მას თბილი ხალათი შეუკერა; მღვდელმა წუღები და ყაბალახი აჩუქა; ასე რომ პაჭუას მალიან აღარ ციოდა.

დიდი უინვებისა და ბუქის დროს კი მასწავლებელი მას სახლში აღარ გაუშვებდა და თავისთან დაიტოვებდა ხოლმე. ანანო მაგიდას მიუჯდებოდა და წიგნის კითხვას დაიწეუბდა; პაჭუა დაფას აიღებდა და ასოების წერაში ვარჯიშობდა. მერცხალა კი ტკბილათ ხვრინავდა ბუხართან; მხოლოდ ხანდახან მიღმი დაიუფებდა ხოლმე, ალბათ მგლები თუ ეხმანებოდა. პაჭუას მერცხალა აღარ ახსოვდა, თავის საქმეში გაერთობოდა ხოლმე. ხან-და-ხან ასოები უმნო გამოუდიოდა, დაანებებდა წერას თავს, მორიდან გაეკედავდა დაფას და, რომელი ასოც არ მოეწოდებოდა, ვაი იმისი ბრალი: ზოგს კუდს მოგლეჭდა და

## პაჭუა და მერცხსლა

13

სხვას მოაბამდა, ზოგს თავს; ოომელიც ძაან გაახელებდა, იმას სულ წამლიდა; — ეგეც სენაო, იტუოდა და მეორეს დასწერდა ხოლმე.

როცა პაჭუა დაიღალებოდა, ანანო წიგნებს წაუკით-სავდა, ან არა და ზღაპრებს მოუკევებოდა. პაჭუას ზღაპა-რი ძალიან უევარდა; მთელი დღე რომ უური ეგიო, არ მოეწეონებოდა. ნამეტურ ძალიან მოსწონდა მელიასა და დათვის ზღაპარი:

— აბა, მასწავლებელო, ერთი მომიუევი, მელიაშ რო დათვი მოატეუა, სანათლიაოს მემახიანო, და უველი კი სულ ამოუჭამა! სა, სა, სა! ის დათუნია ისა! იმსელა ოტლაჟი მელიაშ როგორ მოატეუა!

— მე აი რამდენი ზღაპარი გიამნე, ახლა შენ მომი-უევი რასმეო, უთხრა ერთხელ ანანომ.

— ზღაპარი ვთქვა? ჩაფიქრდა პაჭუა: — იუო და არა იუორა, იუო ერთი ბებერი ცოლქმარი... ერთი ძროხა უამდათ... პაჭუა შედგა და თავის ფხანა დაიწეო.

— მერე? დაეკითხა ანანო.

— გათავდა! უპასუხა პაჭუამ, რაკი ვეღარა მოიგონა-რა. მასწავლებელმა ბევრი იცინა.

ხან-და-ხან პაჭუა მოუკებოდა: მე რო გავიზრდები, ცხენს ვიუიდი და კიდე მეორე ძროხას, თორემ ერთი ძროხა გვეამს-ნიკორა და უველას არა გვეოფნისო; მერე

დიდ სახლს ავასენებ, ღერას ახალ კაბას გუუიდი, ღებს  
ფეხსაცმელებს, სენდ კაბას გიუიდით.

მასწავლებელი მადლობას გადაუხდიდა, რომ არ და-  
მივიწერ; ნავახშევას ჰაჭუას ოვალები შეუმჩნევლათ მიუ-  
ლიტებოდენ და ლოკინზე მიიძინებდა.

## V.

თუმცა ჰაჭუას მასწავლებელთან არაფერი არ აკლდა,  
მავრამ, როცა სიცივის გამო ორი-სამი ღლე დარჩებოდა,  
მაშინ კი მალიან მოიწერნდა ხოლმე და სახლში წასვლას  
აიჩემებდა.

— მერცხალა, სახლი წასვლა ხომ არ მოგინდა? და-  
უძახებდა ის თავის მერცხალას: — ვინ იცის, ახლა ღერ-  
ჩემი მატელს ართამს, ანეტაც ართამს, მასიკო დარიკოს  
არწებს... ნიკორბს კი ეციება... გაი თუ ბლავის... ღერ-  
ჩემს უჩვენოთ მოეწერნებოდა: იძახის, ახლა, სად არიან  
ჩემი ჰაჭუა და მერცხალაო.

ამ სიტუაციის გაგონებაზე მასწავლებელი მახვდებოდა,  
რომ ჰაჭუას სახლში წასვლა უნდოდა და, ჰატარბს გამო-  
ჭიატებდა თუ არა ამინდი, სახლში გაუშვებდა და თან  
რაიმე სასუსნავს გაატანდა დებთან. ჰაჭუაც ცუნდრუკით  
გასწევდა დებთან და ღედასთან. როცა სკოლაში დაბრუ-  
დებოდა, მასწავლებელს ახალ აშებს მოუტანდა: ჩვენ მე-

ზობელს მგელმა ცხევარი მოსტაცა, ღორმა გოჭები დაჭ-  
ურა, დარიკომ ფერი აიდგაო და სხვა.

ერთხელ უინგის გამო პაჭუა მასწავლებელთან სამი  
ღღე დარჩა. მეოთხე ღღეს დილაზედვე აჩემა, სახლში  
უნდა წავიდეო. ოდგანაც კარგი ამინდი იუო, მასწავლე-  
ბელი დაჭპირდა: გაკვეთალებს შემდეგ სახლში გაგისტუმ-  
რებო. პაჭუა სისარულით შესტა და შემოტრიბლდა.

იმ ღღეს მასწავლებლისას პური გამოაცხვეს და პა-  
ჭუამ გამოაცხადა, ერთი პური დედაქემს უნდა წავუღოვო.  
მასწავლებელიც დათანხმდა. სადილობამდის დიდ თოვლი  
მოვიდა; ამიტომ ნასადილევს ანანოს პაჭუას სხსლში გა-  
შეება აღარ უნდოდა, მაგრამ პაჭუამ კინაღამ ტირილი  
მორთო, ქარიც არა ჭეროდა და ამიტომ გამოუკრა პაჭუ-  
ა; ერთი დიდი პური, ოომელიც იმან ამოირჩია, და თა-  
ვის მერცხვალეთი სახლში გაისტუმრა. რაძენსამე სანი  
შემდეგ ამოვარდა ქარი; თოვლის სულ ჭავრში დაწეუბინა  
ტრიალი; საშინელი კორიანტელი დადგა; მალე კიდეც ჩა-  
მობჩელდა.

— ღმერთო, რათ გავუმგო! წამიმახა ამფოთებულმა ანა-  
ნომ: — მე მაინც გავუოლოდი.

ბოლოს ვეღარ მოითმინა, ჩაიცვა თბილოთ და გამო-  
ვიდა გარეთ, მაგრამ ქარმა თოვლი თვალებში შეაუარა და  
ანანომ ვეღარავერი ვერ გაარჩია; შეუხვია მეზობლისას,  
შეატეობინა, საქმე რაშიაც იუო და ერთი კაცი გაიუოლია

მაკრინებდის. ანთებული ლიფლიფაც წამოიდეს, მაგრამ ქარმა ის მაძინვე ჩააქრო; გზა აღარსადა ჩანდა; ხან აუ ჩაიმსვლეოდენ თოვლში და ხან იქ, ოოგორც იქნა და-დის წვალებით მიატანეს მაკრინეს სახლამდე და დაარ-ხუნეს კარი. მაკრინემ კარი გაადო.

— პაჭუა სად არის? იკითხა ანანომ შესვლისათანავე და აქეთ იქით უურება დაიწუო.

— პაჭუა? წამოიძახა გაფითოებულმა მაკრინემ: სამი დღეა, რაც თქვენთან წამოვიდა, მასუკან აღარ მობრუნე-ბულა.

ანანოს მუხლები ჩაეკეცა; ტანში ურუანტელმა დაუ-არა.

მაკრინე მცირე ხანს გამტერებული იდგა; მალე მიხუ-და, საქმე რაშიაც იუო და გაისვა ქოჩორსა და ლოუა-ხელი.

უმაწვილები ამ ამბავზე წამოცვინდენ და ღრიალი მორთეს.

— რას გავმტერებულგართ? წამოიძახა გონს მოსულ-მა ანანომ: — წავიდეთ, მეზობლები შევუაროთ და მოვმებ-ნოთ...

მალე მაკრინესას მეზობლებმა თავი მოიუარეს; უველა მალიან წუხდა და მაკრინეს ანუგეშებდა; საბოალო დედი კი ცრემლებათ დნებოდა, ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს და ევეზრებოდა:

— შემიძრალეთ, მიძვჭლეთ ოამე, ოალა უნდა კუნა; იმის მეტი ვინდა გამაჩნა, მისი უბედური მამის ფეხზე-  
დო!...

— ოომ წავიდეთ, ვინ იათვის ახლა იმას; სულავთ,  
ოოგორი კორიანტილია! წააქცევდა საღე და თოვლის  
შიაურიდა, ოა ბეჭრი იმას დასჭირდებოდა, — ამბობდა  
ერთი.

— ამისთანა ამინდში დიდსაც გაუჭირდება, თვარა პა-  
ტარა ოოგორ გაუძლებდა!

უპასუხებდა მეორე.

ერთბაშათ ოთახში შემოვარდა მეზობლის თოთხმეტის  
წლის ბავში და საჩქაროთა თქვა:

— საბძლისაკენ მაღლი უშუის; ისე უშუის, ისე რო!

— იქნება მერცხალა არის? დაიმახა ერთმა — მერცხა-  
ლა ხომ იმას არ შორდებოდა!

— მერცხალა იქნება, მერცხალა! წამოიმახა სისარუ-  
ლით ანანომ: — ორივე ერთათ წამოვიდენ. წავიდეთ, მოვ-  
ნახოთ!

გლეხებმა წამოავლეს ნიჩბებს ხელი და გასწიეს იქ-  
თქენ, საიდანაც, ბავშის სიტყვით, მაღლის უშუილი მო-  
ღიოდა.

ქარს ზუზუნი გაჰქონდა; თოვლი ჭაერში ტრიალებდა;  
ადამიანი თვალს ვერ გაახელდა. მაღლის ხმა არსადან  
მოისმოდა... ერთბაშათ გაისმა მაღლის სანგრძლივი და

საცოდავი უმუილი. უველამ იქითებენ მიაშურა; ოადგანაც ქარი ქროდა, ძაღლის უმუილი ხან ახლოს ისმოდა, ხან შორს; ამიტომ ბევრი ძებნა დასწირდათ. ანანო მათ უკან არა ოჩებოდა. ბოლოს მიადგენ ერთ ჩალის ზვინს, უმუილიც აქვე გაისმა; უველა სმენათ გადაიქცა.

— მერცხალა, მერცხალა! დაუძახა ანანომ.

უმუილი შეწუდა და ზვინის გვერდიდან ოაღაცამ გამოსწია ძახილზე; ეს იუო მერცხალა; საბრალო მივარდ ხალხს და ხან ერთს ულოკავდა კაჯათას, ხან მეორეს. ხალხი ზვინის გარშემო გაიფანტა და ძებნა დაიწუო.

— აქ არის, აქ... ვიპოვე! დაიძახა ერთმა კარგა ხნის ძებნის შემდეგ.

უველამ იმას მიაშურა და დაიწუეს ნიჩბებით თოვლის გადაერა. ბოლოს, ოცოროც იქნა, ჰაჭუა ნახეს.

საბრალო ბავში ზურგით ზვინს მიჰყედებოდა, ხელუი გულში ჩაეკრა და შიძინებოდა; თოვლი ზედ მიჰყეროდა და, ოობ არ მოესწროთ, შივ ჩაიმარხებოდა.

მაშინვე დასტაცეს ხელი და სახლში წაიკვანეს. უმარვილს სუნთქვა აღარ ეტეობოდა და უძრავათ იუო. დააწვინეს ლოგინზე და თოვლით ზელა დაუწევეს.

ჰაჭუა თან-და-თან გათბა, ხელები გაანძრია.

— ცოცხალია, ცოცხალი! წამოიძახა უველამ.

მაკრინებ სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა; ჰატარა უმაწვილებმაც რომ გაიგეს, მამია მოცოცხლდაო, ეზ-

კილ-ქღუვილი შექნეს. მალე შაჲუამ თვალებიც გაასილა, მრიხედ მოიხედა და მისუსტებულის ხმით დაიძახა:

— ჩემი პური! დედას წამოვუდე!

რამდენსამე დღის განმავლობაში შაჲუა სრულებით მორჩა და სასწავლებელში სიარული განაგრძო...

ახლა ის კაი დიდი ბიჭია. სოფლის სასწავლებელი დიდი ხანია, გაათავა და ქალაქში სწავლობს. მერცხალაც ცოცხალია, მაგრამ მალიან დაბერდა საწეალი; რასაკვირველია, შაჲუას ის ქალაქში არ წაუკანია, ზაფხულობით, როდესაც დაითხოვენ ხოლმე. შაჲუას, სოფელში გამოსწევს და დედასა და დებს ნახავს თუ არა, მაშინვე თავის ძველ ბასწავლებელ ანანოსთან გაექანება სანახავათ.

კანო.



## କାତୀରା କବିତା-ମହମଦାଣୀ



(ଜ୍ଞାନପିଲ).

ଏହାମ ଗାଉଟଙ୍ଗେ ଯାଏ ନ୍ଯୁର୍ବା ସାର୍ଜୁପାଣୀ,  
ଗାମାକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରୀକାରଶିଳ ଓ ଉନ୍ଦରିଲୁ  
ମୁଖ୍ଯମନ୍ତ୍ରାଧିକାରୀ ହେଲେ, ମାତ୍ରାମ ନାଚା ହନ୍ତି  
ଉଠି ଜୀବ କିଲ୍ପିବ ଗାନ୍ଧୁର୍କ୍ଷେତ୍ରରେ ଯୁଗ  
ଓ ଗାନ୍ଧୁର୍କ୍ଷେତ୍ରରେ ସାଜମ୍ଭେ. ମାର୍ତ୍ତାର ସାଉତିର୍ବେଳି  
ଦେଖି କେବଳ କେବଳ ଦେଖି କିମ୍ବା ଏହି ଉନ୍ଦରିଲୁ  
ଉଠିଲୁ ତୁମ୍ଭିଲୁ-ତୁମ୍ଭାଲୁଟ ଗାପିବେ.  
ଗାଉଟଙ୍ଗେ କିଲ୍ପିବ କାମଦେନିମ୍ଭେ ନାକେହି,  
ମାତ୍ରାମ ମାତ୍ରାମ ହନ୍ତିରେ, ହନ୍ତି ସାର୍ଜୁପାଣୀର ହେଲେ  
ଯୁଗ ଯୁଗ କିମ୍ବା ଏହି ଏହି ଏହି ଏହି,  
ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି.  
ମୁଖ୍ଯମନ୍ତ୍ରାଧିକାରୀ ଏହି ଏହି ଏହି ଏହି;  
ଗାନ୍ଧୁର୍କ୍ଷେତ୍ର କିମ୍ବା ଏହି ଏହି ଏହି ଏହି;  
କାମଦେନିମ୍ଭେ କାମଦେନିମ୍ଭେ କାମଦେନିମ୍ଭେ;  
କାମଦେନିମ୍ଭେ କାମଦେନିମ୍ଭେ କାମଦେନିମ୍ଭେ.

ଦିନ ହାନିରେ ଦିନ ହାନିରେ ଦିନ ହାନିରେ ଦିନ ହାନିରେ

— ଦେଖିବ, ମେଘ ହେଲେବାଲୁ ଶେନିରେ, ମେଘ ହେଲେବାଲୁ... ଦୋଷିମୁଖ  
ମାନ କେବଳିନ୍ଦା.

— ଶେନ ହା ଗିନିଲା?.. ଦାଳିବେଳେ! ଶୁଣାଶୁଣା ଦେଲାମ.

— ଏହା, ଏହା, ହେଲେବାଲୁ... ମେଘ ଏହା ହାନି ଦାଳାଲୁଲୁଲୁ, — ଏମିଲୁଲାହୁ-

ბოდა კოტე. მართა უცებ შეჩერდა; ეტყობოდა, რაღაც ფიქრმა გა-  
უელვა და შეჭედა შეიღლს.

— იცი, რა გითხა?.. თუ აგრე გულით გინდა სიარული, შენ  
წადი მარტო და წაუღე სარეცხი მუშტარს, მე კი დაერჩები და ვაუ-  
თოვებ, სანამ უთო არ გაცივებულა, თქვა მართამ.

— ძალიან კარგი! აღტაცებით წამარხახა კოტემ და მიეარდა  
სარეცხს.

— მოიცა, მოიცა, ნელა მოჰკიდე ხელი; არ გასვარო, ან არა  
დაჰკარგო-რა!.. აქვე, მეორე ქუჩაზე რომ „ჩინონიკი“ დგას, იმას  
მიუტანე, უთხრა მართამ და კარგათ გამოხვეული სარეცხი მისცა  
შეიღლს.

— ფული გამოვართვა? ჰკითხა კოტემ, როცა კარში გაეიღა.

— თუ მოგცეს, გამოართვი, მანეთი და ერთი შაური მერგება,  
მიაძახა მართამ.

— კარგი, კარგი, ჩაილაპარაკა კოტემ და გაჰკურცხლა.

— დუღი, დუღი, იაბლოკი ჰა!.. დაიყეირა კოტემ, როცა ქუ-  
ჩაზე გამოვიდა, კოხტათ დაიდეა თავზე სარეცხი, თითქო ხილით სავ-  
სე გობიაო, და თავმომწონეთ წავიდა დანიშნულ სახლისკენ. კო-  
ტეს პირველათ დაავალეს მუშტართან სარეცხის წალება და მის  
მხიარულებას საზღვარი აღარა აქვს. მაშ, ის დიდია ახლა და შეუძ-  
ლია დაეხმაროს დედას, რომელიც მუდამ დღე შრომობს: ხან რეცხს  
ხან აუთოვებს, ხან საჭმელს აკეთებს, ხან მუშტართან მიდის, ხან ბა-  
ზარში გარბას და სხვა. დღეიდან სარეცხის წამლებათ კოტე იქნება  
და ამნარიათ კოტათი მაინც მოეხმარება საყვარელ დედას; დაიჲდეს  
ხოლმე სარეცხს თავზე და, თითქო ხილის გამყიდველი კინტოაო,  
შემოსახებს: „დუღი, დუღი, იაბლოკი, ჰა!..“ იჲ, იჲ, რა კარგია,  
რა ბედინერია კოტე! აქამდის რატომ არ მოიკონა ან თითონ, ან  
დედამ რატომ არ იფიქრა, რომ სარეცხის წალება კოტესთვის მიენ-  
დო? ჯერ დიღაობითაც, სანამ სკოლაში წავა, შეუძლია კოტეს ახ-  
ლო-მახლო სარეცხის მიტანა, თვარა სკოლიდან რომ დაბრუნდება

მერე, ხომ სულ თავისუფალია და ბიჭებთან კოჭაობას, დედას დებმარის არ ჯობია?.. რასაკეირველია, ჯობია და კოტეც ბეჯითათ შეასრულებს თავის მოვალეობას: არც გასერის სარეცხს, არც დაბნეეს და ისე მიუტანს მუშტარს.

ამნარ ფიქრებში გართულმა რამდენსამე წუთში მიიჩნინა კოტეც მუშტართან, ჩააბარა სარეცხი, ჩაიჩხრიალა ჯიბეში მანეთის თეთრი ფული და ერთიც შაურიანი და გამობრუნდა უკან ბეღინერი, რომ პირველ მონდობილება შევნიერათ შეასრულა. მოდის კოტეც არხეინათ ქუჩაზე; მოდის ამაყათ და თავმომწონეთ. „ჩხრჩრ, ჩხრჩრ“ გააქვს ჩხრიალი ჯიბეში ფულებს და მის ნეტარებას საზღვარი არა აქვს: კოტეც ახლა პატარა კი აღარ არის, დედის მომხმარეა, მისა მარჯვენა ხელია და შუაზე უყოფს შრომას. მივათუ არა შინ, ახლა მეორე წყება სარეცხი დახვდება მზათ და წაულებს მუშტარს.

ამ ფიქრებში იყო კოტეც, ხელი ჯიბეში ჩაეყო და თან ფულებს ანგარიშობდა, რომ უეცრათ ქუჩაზე დამჯდარი გლახის საცოდაე ხმა: „გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხაეს!“-ო, შემოესმა. გლახა იჯდა ქუჩის პირას და გამოლელ-გამომვლელს მოწყალებას თხოვდა, მაგრამ გაიარა ერთმა, გაიარა მეორემ, მესამემ, მეოთხემ და არც ერთმა ყურადღება არ მიაქცია გლახის მუდარას. კოტეც შეეცოდა გლახა და გული მოსდიოდა მგზავრებზე, რომელთაც, თითქო არც კი ეს-მოდათ გლახის ვეღრება. „გულქვავები, საზიზლრები!“ ჰუკერობდა კოტეც: „რატომ არ აძლევენ თითო გროშს საბრალოს?.. იქნება დღეს არა უჭამია-რა!“ ამ დროს კოტეცს ხელს მოხვდა ჯიბეში შაურიანი. „ამოილე და მიეცი!“ უთხრა გულმა კოტეცს. იმანაც მოჰკიდა შაურიანს ხელი, მაგრამ უცებ შეჩერდა. ფული ხომ მისი არ არის, დედი-მისისა და რა პასუხი მისცეს იმას? თვითონ კი განა ბევრი აქვსთ, რომ გლახებს ურიგონ ფულები? არა, კოტეც თავს დაპლუნავს და ისე გაივლის გლახის წინ, როგორც სხვა მგზავრები მიდიან. მართლაც დაპლუნა კოტეცმ თავი და უნდოდა, უცებ გაერ-

შინა მათხოვრის წინ, მაგრამ კიდევ მოესმა გულის შემზარევი: „ვა-  
 მიკითხე, ღმერთი გაგზარდის“-ო და შეჩერდა. გლახას ხელი გამო-  
 ეშვირა და იმისთანა თვალებით უყურებდა კოტეს, რომ ბავშვა ან-  
 გარიშ მიუცემლათ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოილო შაურიანი, მისცა  
 მათხოვარს და გაიქცა საჩაროთ, თითქო უკან მისდევს ეინმეო.  
 „ღმერთმა გაგზარდოს, ღმერთი შეცემიო!“ წუწუნებდა გლახა მად-  
 ლობრს ნიშნათ, მაგრამ კოტეს აღარაფერი აღარ ესმადა და მირ,  
 ბოდა. საბრალო ბავშვი! მან არ ცოდა, რა ჩაიდინა, კეთილი საქმე  
 თუ ცუდი? გლახას ფული მისცა, მაგრამ დედას წართვა: იმ დე-  
 დას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, სისხლის ოფლში იწურე-  
 ბოდა და ისე ჭამდა პურს, ისე ჭრდიდა თავის კოტესაც. გაიჩინა  
 კოტემ რამდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა მოსახვევთან, საიდანაც მი-  
 ჩანდა მათი სახლი. დგას კოტე და აზარ ციის რა ჰქნას, რა მოი-  
 გონის შაურას შესახებ. მართლაც, რა უთხრას დედას? მათხოვარს  
 მივეციო? მერე ვინ უთხრა, მიეცო? არა, კოტეს არ უნდა მიეცა  
 მათხოვრისთვის დედის ფული და ვერც გაუმხელს ამას დედას. მაშ  
 რა უთხრას? არა, რალა იმ გზაზე დამჯდარა მაინც ის გლახა? ამას  
 შემდეგ ხომ აღარ ენდობა დედა კოტეს და აღარსად გაატანს სა-  
 რეცხს. ამნაირათ გამოდის, რომ კოტეს არ შეძლებია დედას მოხ-  
 მარება, უსარგებლო ყოფილა მისთვის, დიახ, კოტე ცუდი ბავშვია:  
 დავალებული საქმე ვერ შეუსრულა დედას, გამოტანებული ფული  
 ვერ მიუტანა და დაუკარგა. დაუკარგა?.. როგორ თუ დაუკარგა?.. განა  
 მათხოვრის მიცემა დაკარგვა?.. არა, კოტემ კარგათ ჰქნა, რომ  
 მათხოვარს ფული მისცა; ძალიან კარგი, რადგან, იქნება, აქამდეს  
 შშიერი იყო საბრალო და ახლა კი შეუძლია პური იყიდოს და ჭა-  
 მოს. მაგრამ დედასაც რომ ძალიან ჭირდება ფული? რახანა, სახ-  
 ლის პატრონი ქირასა თხოვს და იმას კი ჯერ ვერ მოუკროებია მისა-  
 ცემი ფული. არა, კოტემ ძალიან ცუდი ჰქნა, რომ დედას შაური  
 მოაკლო, კოტე ცუდი ბავშვია...

დგას კოტე მოსახვევთან ამაირ ფიქრებში გართული, ხან კმა-

ყოფილი, თავის საქციელით, ხან უქმაყოფილო და ცერც იქით წა-  
სულა, ცერც აქეთ. უნდა სახლში მივიდეს, მაგრამ რა პირით შე-  
ხედოს დედას, რა უთხრას, როცა ის ჰკათხავს, შაური რა უკა-  
ვიო?.. ვინ იცის, რამდენ ხანს იღებოდა კოტე ერთ ადგილზე, რომ  
უცრათ დედის ხმა არ ვაეგონა.

— კოტე, კოტე, მანდ რას აკეთებ, რატომ არ მოღიხა? მო-  
ესმა კოტეს ნაცრობი ხმა და შეკრთა. მართას უთო გაუციელა და  
სელ-ახლავ აღარ გაუსურებია, რადგან დაბრუნდებოდა თუ არა კო-  
ტე, პური უნდა ეჭიმათ. იცავა მართამ, იცადა და კოტეს მოსელა  
რომ აღარაფერი ეშველა, გამოვიდა ქუჩაში. გაიგონა თუ არა დე-  
დის ხმა, კოტე, როგორც დამნაშავე, შეშინებული და თავ-ჩალუ-  
ნული წაეკიდა მისკენ.

— Հա Ֆիլիպ, թուրանց սահեցքն? Ֆյուտա մարտամ.

— მიუტანე, ძლიერ ამოილუდლულა კოტებ.

— ତୁମଙ୍କି ମୋହପା?

— მომცა... აჲ! . თქვა კოტებ და გაზასცა დედას მუჭით თეთრი რი თელი. მართაშ უცებ დაითვალა ფული და შეკხედა შეიღს.

— შაური? ჰერთსა მან. კოტე ხმას არ იღებდა და თავისალუ-  
ნული იდგა.

— შაური? განუმეორა მართამ! — შაური რა უყავი? კოტე მაინც  
ხდას არ იღებდა. — არ გესმის, რომ გეკითხები? გული მოუვიდა მარ-  
თას, მოკეიდა ხელი ნიკაპზე შეიღს და თავი აუწია. კოტეს ცრებ-  
ლები მოერთა.

— შეურიც მოგვა ხომ მუშტარმა და რა უყავი? კიდევ კითხა მართამ.

— առ, առ... դա՛նկու քուրեմ, մացհած պրեմլո պեղման մոյեծոն նա այ զորակ ըստացա, հոս տիմաչ պնդուա.

— არ მოუცია?.. ოოგორ არ მოგცემდა?.. წამო, მაშ, წავი-  
დეთ იმასთან! დაიძახა მართამ, დაავლო ხელი კოტეს და დაპირა  
მუშარართან წასკლა.

— კი მომცა, კი... ძლიერ ამოილო ხმა კოტემ.

— მაშ, რა უყავი?.. იყიდე რამე განა, შე საძაგელო შენა?.. რა იყიდე?.. კაკალი?.. მაჩვენე ჯიბეები! ცყეიროდა გავულისებული მართა და უშინჯავდა ჯიბეებს. მართა გულ-კეთილი ქალი იყო, მაგრამ გაჭირვებას, ცოტა არ იყოს, გაესასტიკებინა და ამიტომაც გულს წევდა თავის ნაოფლარის უბრალოთ დაკარგვა, როცა გარს იმდენი საჭიროება ეხვია.

— არათერი არ მიყიდა .. თქვა კოტემ და ტირილი დარწყო.

— მაშ, რა უყავი? არ ეხსნებოდა მართა.

— დამეკარგა, უთხრა კოტემ ბოლოს.

— როგორ დაგეკარგა, სად დავკერგა?.. წამოდი ახლავ და მოძებნე, საღაც დაგეკარგა! ამ სიტყვებით დააელო მართამ ხელი ბაჟშს და წაიყვანა. — ეძებე, ეძებე! უყვიროდა გზა და გზა. კოტე ძლიერ მიჩანჩალებდა და გულ-ამომჯარი ტიროდა.

— გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხაეს! მოისმა ამ ღრმას და ორივე დედა-შეიოლმა მიიხედეს გლახესკენ. გლახა იჯდა იმავე აღგილზე, ხელში პური ეჭირა; თან ჭამდა და თან ივეღრებოდა. კოტეს ჯერ ეწყინა თავის ტანჯეის მიზეზის დანახვა, მაგრამ, როცა ნახა, რა მაღიანათ შეექცეოდა გლახა პურს, იუიქრა, ეს ჩემი მიცემული შაურით იქნება ნაყიდო და კმაყოფილება იგრძნო.

— იქნება, შენ ნახე შაურიანი?.. ამ ბავშს აქ შაურიანი დაეკარგა და შენ ხომ არ გინახაეს? ჰყითხა მართამ მათხოვარს, როცა მიუახლოედენ. უკანასკნელმა გაკვარებით შეჰქედა ჯერ მართას, მერე კოტეს და გაიღიმა. მან იცნო კოტე და მიხედა ყველაფერს.

— არა, ბატონო, მე არ მინახაეს შაურიანი, თქვა მან.

— აბა რა იქნა? დაიწყო მართამ: ამ საძაგელს სარეცხი გავატანე მუშტართან და მანეთი და ერთი შაური უნდა მოეტანა; მანეთი მომიტანა და შაური კი დამეკარგაო, მითხრა. გლახამ შეჰქედა კოტეს, რომელიც სრულიად დაშეიძებული მისჩერებოდა მას. გლახა მიუბრუნდა მართას და ედრებით უთხრა:

— შაური მე მომცა, ბატონი... ნუ გაუჯავრდებით!.. კეთილ  
ბავში ყოფილა, ღმერთმა გაზირდოს და კაი კაკი გამოიყენოს.

—შენ მოგცა?.. გაკვირვებით წამოიძახა მართამ.

— დიახ, მე მომუა და აი, პური ვიყიდე კიდეც იმითი, უთხა  
გლახამ და აჩენა ჩახერათ შეჭმული შაურიანი პური.

— მერე რატომ მაშინევ არ მითხარი, შეილო, თუ გლახას მიეცი, როცა გკითხე, რა უყავი მეთქი? ტკბილის ხმით მიუბრუნდა მართა კოტეს და ღაუსვა ალექსით თავზე ხელი. — გლახის მიუქმული არ არის და რაღაი მიეცი, რაღაზე დამიფიცე? მართალი, ჩენ თვითონ გაჭირებულები ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაჭირებულია ჩენზე. ნეტა ბევრი მოგვცა, რომ ბევრის მიცემა შეეძლოთ...

— ეჭ, ბატონი, ამოოხერით დაიწყო გლახამ: ახლა იმისთვის  
დრო დადგა, რომ გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული თუ გაიკითხას,  
თვარა მდიდარს ჩევნი აღარა ეყურებარა. დილიდან აქ ვზიდა და მა-  
ბავშის მეტს ჩემთვის სამოწყალო არაეს მოუცია. ღმერთმა გაზარ-  
დოს და კეთილ გულთან იმდენი შეძლებაც მისცეს, რომ ყოველი  
გლახისა და გაჭირვებულის გაკითხვა შეეძლოს... მართას სიხარულის  
ცრემლებით აექსო თვალები; მოხვია ხელი თავის პატარა ქველმო-  
შქმედს და ორივე დედაშეილი შხიარულათ წავიდენ შინისკენ...



## კატარა ლორდის თავ-გადასახალი.

VI.

გრაფი და მისი შვილი-შვილი.



ატარა ლორდის არც კი გაუგია, როგორ აიყვანა მსახურმა ზედა სართულში, საწოლ ოთახში, როგორ გახადეს და ჩაწეინეს ლოგინში.

მეორე დილას, როგორც კი გაიღვიძა, მაშინევე გაიგონა ბუხარში შეშის ტკაცუნი და ორი ქალის ნელი-ხმით აპარაკი.

— ფრთხილათ იყავი, დოუსონ, არ წამოგცესთ, რატომ არ ცხოვრებს „ისიც“ მავასთან. მაგან არაფერი არ უნდა იცოდეს.

— თუ ევ გრაფის სურეილია, რასაკვირველია, ჩეენც უნდა დაემორჩილოთ; მაგრამ, ჩეენში დარჩეს და უგულობა კი არის, იმისთვის შეეიტოვო. ქალის და ამისთვის შეენიერი ბავშის დაშორება. ჯემსი და ტომსი ამბობდენ გუშინ, ამისთვის არაფერი გეინახავს ჩეენ სიცოცხლეშით. ზის თურმე ეს პარაწყინტელა ბავში სადილათ და ისე თავისუფლათ და ზრდილობიანათ ელაპარაკება გრაფს, თითქოს მისი საუკეთესო მეგობარი იყოს... მე და ჯემსს წამოგვაყვანინეს წუხელი ბავში, არ დაიჯერებ, ღმერთმანი, ციური ანგელოზიერთ იწეა ჯემსის მკლავებზე...

ლოყები აწითლებადა, თავი ცოტა ძირს ჩამოეშვა, ხუჭუ-

კი თმა მხრებზე ჩამოსწერილა...  
 თითონ გრძელიც კი აღტაცებით  
 უყურებდა, ჯემს უთხრა: ფრთხი-  
 ლათ წაიყვანეთ, არ გაალეიძო-  
 თო...

ცედრიკმა თეალები გაახი-  
 ლა, გადმობრუნდა და ორი ქა-  
 ღი დაინახა. დიდი და მაღალი  
 ოთახი, მშის შუქით მთლათ ერ-  
 თიანათ განათებული, ძეირფასი  
 აუჯი, გარედან მწერან მცენარე-  
 ებით მორთული ფანჯრები—  
 უველა ეს სასიამოვნო სანახაები  
 იყო. ქალები ბავშის ლოგინს  
 მიუახლოედენ. ერთი მათგანი  
 მელონი იყო, მეორე კი შუა-  
 ხნის, მიმშიდველი სახის პატ-  
 რონი, ქალი.

— დილა მშეიღობისა, ლორდ  
 ფაუნტელროი! — მიესალმა მელონი პატარა ლორდს. — როგორ გვ-  
 ძინათ წუხელის?

ბავშმა თეალები ამოიფშენიტა და გაიღიმა.

— დილა მშეიღობისა! — უპასუხა მარც. — სადა ვარ? როგორ  
 გაეჩნდი აქ?

— ძირს დაგეძინათ და წუხელი ამაგიყვანეს. — უპასუხა გამდელ-  
 მა. — ეს თქვენი საწოლი ითახია, და ეს კი თქვენი მამელელი,  
 დოუსანი, არის.

ცედრიკი ლოკინზე წამოჯდა და ხელი გაუშეირა დაუსანს.

— ვამარჯობა, ქალბტუნო დოუსონ! — თქვა მარ — ძალან მაღ-  
 ლობელი ვარ, რომ ჩემი მოვლა გიყისრიათ.



— პირ და პირ დოუსონი დაუძახეთ? — ღიმილით შენიშნა გამ-  
ფლმა. — ეგ მიჩვეულია, რომ ასე უძახოდენ.

— პირ და პირ დოსონი დამიძახეთ! გამეორა გამდელმაც, რო-  
გოლსაც მთლათ გაუნათლა სახე პატარა ლორდის სიტყვების გავ-  
ნებამ — ადგომა ხომ გნებავთ? აი, მე ჩაგატევთ, მერე საუზმე მი-  
ირთეთ...

— მე თითონ ვრცეამ ხოლმე! — უპასუხა ფაინტელროიმ. — „ძეირ-  
ჭამა“ მიმაჩინა. „ძვირფასი“ — დედა ჩემია. ჩენ მარტო ერთი მო-  
სმისახურე, მერი, გვყაედა, ის ყველაფერს აკეთებდა და ჩემი ჩატით  
არ ვაწუხებდი. ოლონდ ცოტა მომეხმარეთ; ფოლაქების შეკვერა  
მიჰქირს ხოლმე...

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დოუსონი ყველაფერს გააკეთებს, რასაც კი უბძანებთ! — თქვა  
შელონჩა.

— დიდი სიამოვნებითაც! დაუმატა დოუსონმა. — ჩაცვით, თუ  
ვინდათ, თქვენით, მე კი აქვე ვიქნები და მოგეხმარებით, როცა  
დაგჭირდებათ.

— მადლობელი ვარ! — მოუკო პატარა ლორდმა.

პირის დაბარის და ჩატის დროს ცელრიკი კიდეც დაუმევობრ-  
და დოუსონს და ბექრი რამ გამოჰკითხა მას. ბაეშმა გაიგო, რომ  
დოუსონი ომში მოკლული ჯარის კაცის ცოლი იყო; მისი ვაჟი  
შეზღვევე იყო და სულ ძალიან შორს ცურავდა ხოლმე; მას თათ-  
ხებიც ენახა, ჩინელებიც, სპარსელებიც და ზღვის ყაჩაღებიც, რო-  
ცა ჩამოედოდა ხოლმე, მარჯვანი და სხვა ამ გეარა საჩუქრები მო-  
ქონდა დედისათვის. დოუსონი დაპირდა, ყველაფერს გაჩვენებ მე-  
ჩეო. ამას გარდა დოუსონმა უამბო, ბექრ კარგ ბავშებს უუცლიდი  
ხოლმე, უკანასკნელათ კი ერთ შევენიერ, პატარა ქალს ვემსახურე-  
ბოდი, რომელსაც ლელი ვოგანი ჰქვიაო.

— ის თქვენი ნათესავია! — დაუმატა მამვლელმა. — უთუოთ, გა-  
უწობთ.

— მართლა? რა მიხარიან! — წამოიძახა ცედრიკმა. — პატარა ქალებთან არაოდეს არ მითამაშნია, მაგრამ მათი ყურება კი ძალიან მიყვარს.

საუკმის საჭმელათ ის მეორე ოთახში წაიყვანეს; ეს ოთახიც დიდი და ლამაზი იყო; დაუსონიშა უთხრა, თქვენ მესამე ოთახიც გაქვსთო.

— ნამეტანი პატარა არა ვარ, ამხელა სასახლეში რომ მარტო მე ვცხოვჩებთვე? — იკითხა მან.

— ახლა გვინიათ აგრე, თვირთა მერე მიერჩევეთ და ძალიან შეგიყვარდებათ ეს დიდებული სასახლე.

— მართალია, დიდებულია! — ამოიხენეშა პატარა ლორდმა. — მაგრამ მე უფრო მომეწონებულია, „ძვირფასიც“ რომ აქ იყოს. ყოველთვის მასთან ერთათ ვსაუზმობდი ხოლმე დილაობით, ჩაეუყრი დი ხოლმე სტაქანში შაქარს, ჩაეუსხავდი რძეს და ნაღებს... რა მხარულათ ვსაუზმობდით!

— რა გაწუხებსთ, ხომ ყოველ დღე ნახავთ ხოლმე! — ანუკ-შებდა დოუსონი. — აი, მიარ-მოიარეთ აქ, დაათვალიერეთ ცხენები და ძალლები, მერე ყველაფერი უამბეთ თქვენ „ძვირფასს“. ერთ პატარა ცხენი, მე ვიცი, ძალიან მოგეწონებათ.

— აქ ცხენებიც არის? — იკითხა ბაეშმა. — მე ისინი ძალიან მიუვარს. მისტერ გობსს ჰყავდა ერთი ცხენი, სულ საეაჭროთი საესურებელი აბავდენ ხოლმე.

— ახლა კი იმ ოთახში გადით, ისიც დაათვალიერეთ!

— რა არის იქ დასათვალიერებელი?

— აი, საუზმე გაათავეთ და თითონ ნახავთ. ამ სიტყვებმა ბაეშმა ცნობის მოყვარეობა აღუძრა. მან სწრაფად გაათავა საუზმე, წამოატა ზეზე და იკითხა:

— გვაძეხი; ხომ შეიძლება გავიდე იქ?

დოუსონმა თავი დაუქნია და კარი გაულო. ბაეშმი კარებშევ შეჩერდა და გაკეირებისაგან ხმაც ვერ ამოილო. ოთახი იმ ოს

## პატარა ლორდი

ოთახსავით დიდი, მაგრამ სულ სხვანაირათ მორთული იყო; ფანჯ-ჩებზე თეთრი აბრეშუმის ფარდები ეკიდა, კედლებზე წიგნებით საფ-სე თახჩები იყო მიკრული, სტოლები კი სულ სხვა-და-სხვა სათა-შოებით იყო მოფენილი; ამისთანა საუკეთეო სათამაშოები ცედ-ჩიკს მარტო საუკეთესო მაღაზიებში ენახა, ამერიკის უმთავრეს ქა-ლაქს ნიუ-იორკში.

— ვისია ყველა ეს სათამაშოები? — ძლიერ მოახერხა მან ბო-ლოს ხმის ამოლება.

— ყველა თქვენია, მიღით ახლო, დათვალიერეთ.

— ჩემი? — წამოიძახა ბაეშმა. — ვინ მომტა, ვან მაჩუქა? — და ის წრიაფათ შეეარდა ოთახში. — ბაბუა, უთუოთ ბაბუა მაჩუქებდა! — სიხარულით იძახოდა ცედრიკი.

— მართალია, გრაფის საჩუქარია, და თუ კარგათ დაიჭირო თვეს, რასაც კი თხოვთ, ყველაფერს მოგცემით.

ცედრიკი აღტაცებით ათვალიერებდა სათამაშოებს და წამ-და-უწუმ იმეორებდა, მეორე ამისთანა კეთილი ბაბუა ქვეყანაზე არაეს. არა ჰყავსო.

მომვლელი ჩუმათ იღიმებოდა და არას ამბობდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ის ამ სასახლეში შემოსულიყო, მაგრამ ბევრი რამ გაეგონა სხვა მოსამსახურებისაგან გრაფის უგულობაზე, სიავეზე და სისასტიკეზე. გუშინ მსახურმა ტომასმა უთხრა: ჩემი უურით გავი-გონე, რომ გრაფი ხევიშამს ეუბნებოდა:

— სრული თავისუფლება მიეცით ბაეშს, მისი ოთახი სულ სა-თამაშოებით ააქცით, ითამაშოს, იმხიარულოს, რაც უნდა, ის ჰქნას... დედა მალე დაავიწყდება, ბაეშები ყველა ასე არიანო!

მაგრამ გრაფის მოლოდინი არ ასრულდა. ბაეში ისეთი არ გა-მოდგა, როგორც მას ჰსურდა.

შუა-დღე გადასული იყო, როცა გრაფმა შეიღლი-შეიღლის დასა-ქებლათ გაგზავნა მსახური. ცედრიკმა მაშინვე მოიარბინა; ბაბუას შორიდანვე ესმოდა, როგორი სტუნეით ეშვებოდა ბაეში კიბეზე;

წიგნთ-საცავში ის მთლათ აწითლებული შემოვეარდა, გაბრწყინვა  
ბული თვალებით.

— მე ველოდი, თქვენ დაძახებას. — უთხრა მან ბაბუას. — დიდი ხა-  
ნია, მზათა ვარ. ძალიან მადლობელი ვარ ყველა საჩუქრებისათვის.  
მთელი ღრეულა ვთამაშობდი.

— მერე, მოგეწონა სათამაშოები?

— ძალიან, ძალიან! ვერც აგიწერთ, რანაირათ მომეწონა! —  
ბავშვს სახე სიხარულით განათებული ჰქონდა. — იქ ერთი ფიცარა,  
რომელზედაც სხეა-და-სხეა ნარდის კაცებით თამაშობენ, შავით და  
თეთრით. მინდოდა დოუსონისთვეს მესწავლებინა, მაკრამ ვერაფერა  
ვერ გაიგო, სულ ვერ მოახერხა თამაში. თქვენ უთუოთ გეცოდნე-  
ბათ, არა?

— ამ თამაშს „base ball“ ჰქონა.

— არა მგონია. — უპასუხა გრაფმა. — ამერიკული თამაში ხომ  
არ არის? კრიკეტსავით არის?

— არ ვიცი, კრიტეკი არ მითამაშია, „base ball“-ის თამაშის-  
თვის კი მიყურებდა, მისტერ გობესმა წამიუვანა. შვენიერი თამაშებაა,  
ისე გარტაცენის ხოლმე დღამიანს, რომ მეტი არ შეიძლება. მოვიტა-  
ნო აქ? შეიძლება შეგიძლიოსთ და დაგავიწყოსთ ფეხის ტკივილი?  
ძალიან გტკივათ ფეხი?

— უფრო მტკივა, ვიდრე სხვა დროს...

— ამა იქნება არ გეხალისებოდესთ თამაში? როგორ ფიქრობთ?  
მოვიტანო და აგიხსნათ, როგორ თამაშობენ?

— კარგი, წადი და მოიტანე.

პირველათ იყო გრაფი ბაეშთან თამაშის გუნებზე, შაგრამ ეს  
ბავში ართობდა მას! მან გაიღიმა, როდესაც ცელრიკი დიდი ყუთით  
ხელში ისევ შემოვიდა წიგნთ-საცავში.

— მოგიწიოთ ახლოს ეს პატარა სტოლი? — პკითხა ვაჭმა.

— დაუძხე ტომასს, მოვა და მომიწევს...

— რისთვის? მჩატეა, მე თითონ მოვწევ.

## პატარა ლორდი

— კარგი! — და თანხმა გრაფი და ღიმილით აღევნებდა თვალს ბაქშის მიხერა-წოხერას. ცედრიკმა დიდი ყურადღებით მოაწყო ყველაფერი სათამაშოთ; მისწია სტოლი, გახსნა ყუთი და ამოილო შავი და თეთრი ნარდის კაცები.

— ძალიან კარგი თამაშია! — თანაც ლაპარაკობდა ის. — შეები თქვენი იქნებინ, თეთრები ჩემი.

გაბუამ და შეილი-შეილმა თამაში დაიწყეს. ცედრიკი მთლათ გაიტაცა თამაშია, ის ყოველ კაცის ნაბიჯს უხსნიდა გრაფს, ამ უკანასკნელს კი ძალიან ეხალისებოდა პატარა მასწავლებლის ყურება. ამ ერთი კეირის წინეთ რომ ეწინასწარმეტყველებინათ გრაფისთვის, მაღლე ბავშვთან თამაშში იქნები გართულიო, ის არასფრით არ დაიჯერებდა.

ამ დროს კარი გაიღო, შემოვეიდა მსახურმა და მოახსენა ბატონს, მღვდელი მორდაუნტი გეახლათო; როცა მღვდელი შემოვეიდა, თამაშში გართულ ბაბუა-შეილი-შეილის დანახვამ ისე გაკვირვა, რომ უკან დაიხია და კინალამ მსახურს გადაეჩეხა.

მორდაუნტს საშინლათ ეძნელებოდა ხოლმე გრაფთან მოსელა, თავის მრევლისთვის რამეს სათხოვნელათ; თუ გრაფს ფეხი აწუხებდა, ხომ ახლოსაც არავის იყარებდა, თუ კარგათ იყო მაშინაც ჯერ გამოლანდავდა თითონ მღვდელს, მის ეკლესიას, მთელ მის მრევლს და მერე თუ გაიმეტებდა ცოტა რამეს მათ საშეელათ. დღეს მაინც განსაკუთრებული კრძალებით მოდიოდა საკოდავი მღვდელი; მან იცოდა, რა გაჯარებული და გაბრაზებული იყო გრაფი ეროლის ცოლის შერთვაზე, ისიც იცოდა, რომ უფროსი შეილების სიკვდილს შემდევ დორინკორტი იძულებული გახდა ამერიკელი შეილი-შეილი გამოეწერა და ისიც, რა შეერთებული სიძულვილით და შიშით ჩოელოდა ის ბავშის ჩამოსელას; „ბავშიც ხომ ჩამოვიდა; უთუთ გრაფს არაფრათ მოეწონა და გულის ჯაერს ჩემშე ამოიყრასო!“ გულის-ძერით ფიქრობდა ის, როდესაც მსახურ ტომასს მიჰყებოდა

წიგნთ-საკაე თათხში: მაკრამ წარმოიდგინეთ მისი გაკეირვება, როცა იქიდან ბაეშის მხიარული ხარხარი შემოესმა.

მოხუცი გრაფი თავის სავარძელში იჯდა, ქარებიანი ფეხი სკამზე მიესცენებინა; პატარა სტოლზე მის წინ რაღაც ფიცარი და რგოლები იდვა, შეენიერი, თმა-ხუჭუჭი ვაჟი კი თავისუფლათ მიურდნობოდა ბაბუას საღ ფეხს და სიხარულათ იძახოდა:

— გათავდა! გათავდა! წააგეთ, ბაბუა!

სწორეთ ამ დროს გაიგეს ორივემ, რომ ეიღაც შემოეიდა. გრაფმა თავი ასწია და წარბები მოღუშა, მაგრამ მღვდელმა მარც შენიშნა, რომ გრაფის სახე, ჩეცულებრივათ, სასტიკი არ იყო.

— თქვენა ხართ! — წაილაპარაკა მან და საკმაოთ ზრდილობიანათ გაუშეირა ახლათ-მოსულს ხელი. — გამარჯობა! ხედავთ, ახალი დროს გასატარებელი ვიშოვნე!

მეორე ხელი მოხუცმა გრაფმა ცედრიკს დაადვა მხარზე და წინ წამოსწია პატარა ვაჟი: სჩული კმაყოფილება იხატებოდა დორინკორტის სახეზე, როდესაც თავის მემკვიდრეს მღვდელს აცნობდა.

— აი ახალი ლორდ ფაუნტელრი! — თქვა მან. — ეს კი, ფაუნტელ როი, — მიუბრუნდა შეილი-შეილი, — ჩენი მრევლის მღვდელია, მისტერ მორდაუნტი.

პატარა ლორდმაც მღვდელს ხელი გაუშეირა.

— ძალიან მესიამოენა თქვენი გაცნობა! — ზრდილობიანათ თქება.

მღვდელმაც ჩამოართვა ხელი და ლიმილით შეხედა პატარა ლორდს; ცედრიკი პირველ შეხედვაზედევ მოეწონა; იმდენათ ბაეშის სილამაზეს არ მოუხიბლავს, რამდენათაც მისს უბრალო, მიმზიდველ ქცევას; მთელი თავის ყურადღება მღვდელმა ამ პატარა ვაჟს მიაპყრო, მოხუცი გრაფი თითქოს აღარც კი ახსოვდა.

— მეც ბედნერებათ ეთველი ჩემ თაეს, რომ გაგიცანით! სიყვარულით უთხა მან. — დიდი მოგზაურობა კი დაგჭირდათ, სანამ ჩენი თან მოაღწევდით. მაღლობა ლმერთს რომ, მშეიღლით მობრძანდით.

— მართალია, ბევრი ვიცურეთ! — უპასუხა პატარა ლორდმა. — მაგრამ „ძეირფასი“ ჩემთან იყო და არ მომწყენია. როცა დედასთან არის ადამიანი, არაოდეს არ მოწყინდება, ამას გარდა ხომალდიც შეენიერი იყო.

— დაბრძანდით, მორდაუნტ! — შეეპატიქა გრაფი.

მორდაუნტი დაჯდა და ხან ბაბუას შეჩერებოდა, ხან შეილი-შეილს.

— სულით და გულით გილოცავთ, გრაფო, ამისთანა ძეირფასი სტუმრის მოსელას! — თქეა მან. მაგრამ გრაფს არ უნდოდა, გამო-ემელავნებინა თავის გრძნობები.

— სახით მამას ჰგავს! — ციფათ მიუგო მან. — იმედია, მამაზე მე-ტათ მანუგეშებს. სხვა, მორდაუნტ, გვითხარით, ვინ არის გაჭირე-ბაში?

მღვდელმა კრძალეთ დაიწყო:

— ხიჯინსი, გრაფ, საძაგლათ წაუეიდა საქმეები ამ უკანასკნელ დროს! თითონაც ძალიან ავათ იყო, მის ბატშებსაც უველას დაერია წელს სახადი. საწყალი, საცოდავია; მშრომელი კაცია, ძალიან ცდი-ლობს და არა გამოუდის-რა. ნეკიმა გამოუცხადა, თუ ფულს არ შემოიტან, მიწას წაგარომევო. ჯაერისაგან ახლა ცოლიც ავათ გაუ-ხდა. გუშინ მოვიდა ჩემთან, შემხევეწა, გრაფთან მიშუამღომლე, ფულს ახლავე ნუ გადამახდევინებენო. იმედი აქვს, რომ მალე მო-სულიერდება და ფულებსაც იშოვნის.

— იმათ ყოველთვის იმედი აქვთ! — ციფათ უთხრა გრაფმა. ცედრიკი წინ წამოდგა; ის ყურადღებით მისჩერებოდა ხან ბაბუას და ხან მღვდელს; ხიჯინსის მდგომარეობამ მისი თანაგრძნობა გა-მოიწვია.

— ხიჯინსი ძალიან კარგი კაცია! — ისევ დაიწყო მღვდელმა.

— და ძალიან ცუდი მიწის-მომელელი! — დაათავა გრაფმა.

— მიწა რომ წართვათ, ცოლ-შეილიანათ შიმშილით ამოწყდე-ბა! ორი შეილი ჯერაც არ მოჩენია სრულიათ სახადისაგან. ექიმი

მათ ღვინოს და წამლებს უწერს, ის კი არ იცის, რომ მათ ერთია ფარაც არ გააჩნიათ.

პატარა ლორდი კიდევ უფრო წინ წამოდგა.

— მიქელის ოჯახიც აგრე იყო! — თქვა მან.

გრაფი შეკრთა.

— აჲ! კიდეც დამავიწყდა, შენ რომ აქა ხარ, ყველას შემბრა-ლებელო! ვინ არც მიქელი?

— ბრიჯეტის ქმარი, დაგავიწყდათ? აეათ იყო, ფული სულ არ ჰქონდა, ვერც ღვინოს და ვერც წამლებს ვერ უიდულობდა. თქვენ არ მომეცით მისთვის ფული?

გრაფმა წარბები მოლუშა, თუმცა სისასტიკე არც ახლა დატყობის მის სახეს.

— კარგი მემამულე გამოვა ამ პატარა ვაჭბატონისაგან! ღიმი-ლით მიუბრუნდა ის მღვდელს. — ფული გაუუგზავნე და სულ მათ-ხოერებისთვის დაურიგებია.

— არა, არა, მათხოერები არ არიან! — ცქვიტათ მიუგო პატარა ვაჭმა. — მიქელი — კალატოზია! სხევებიც მუშაობენ, მოწყალებას კი არ თხოულობენ.

— შევნიერი მეგობრებიცა გყავს! — დაცინვით შენიშნა გრაფმა; — კალატოზი, ვაჭარი ქალი, წალების მწმენდელი...

ამ ღროს გრაფს ახალმა აზრმა გაურბინა თავში.

— მოდი აქ! — დაუძხა მან შეილი-შეილს.

პატარა ლორდი მიუახლოედა.

— რას იზამდი, ჩემს ალაგს რომ იყო?

პატარა ლორდმა თავის პატარა ხელი გრაფის მუხლზე დაჭრა და გულუბრყეილოთ უთხრა:

— მდიდარი რომ ვიყო და ასე პატარაც არ ვიყო,. მიწას ხი-ჯინსს დაუუტოვებდი, მის შეილებს კი ყველაუერს მიეცემდი, რაც კი რამ ეჭირევათ.

ბაჟში შეჩერდა, უცებ სახე გაუბრწინდა და სიხარულით წამო-იძახა:

— ତଜ୍ଜ୍ଞଙ୍କ କୋମ ଶେଷିଦିଲାତ, ଯୁଦ୍ଧାଳ୍ପ ଏହି କ୍ଷେତ୍ରରେ, ବାଦ୍ୟା?  
— କେ! କେ! — ହାତିଲୁହନ୍ତିର ଗୁରୁତ୍ବମା ଓ ସାମନ୍ଦରିତିର ଶେଷେଦା ପ୍ରେରଣାକୁହାନ୍ତିର ଶେଷ ଅଗ୍ରରେ ଫୋକରିବା?

— ଦୋଷାତ୍! ହାତାପି ମନୋନିଦିମ୍ବେଦିତ, ମନୀଶ ମିଶ୍ରମା ଶେଷିଦିଲାତ ଯୁଦ୍ଧାଳ୍ପରେ ଥିଲାବେଳିରେ ନେବ୍ରିପି ବିନ ଆହିବା?

— କେମି ମନ୍ଦିରାଵାତି. ଶଂଖିରତ ଗଲ୍ପେକ୍ଷେବୁ ଦିନାତ ଅରାତରାତ ମିବାହିନୀରେ.

— ଆତ୍ମାବ୍ୟ ମିଶ୍ରମିରତ ହୃଦୀଲିଙ୍କ? — କ୍ଷେତ୍ରକା ବାଦ୍ୟମା. — ମନ୍ଦିରାନିତ ଶାନ୍ତିର-କାଳାମି? ଏହି ସାତାମାଶିଳେ ହାତିଲୁହନ୍ତିର ପ୍ରେରଣାକୁହାନ୍ତିର ଶେଷ ଦାନ୍ତରେ.

ବାଦ୍ୟମା ବେଳିପ କି ହାତିଲୁହନ୍ତିର କୋମ ଗୁରୁତ୍ବ ଉଚ୍ଚାରିତ କିନ୍ତୁ ଦିନାତିରିତ ବାଦ୍ୟମା ଗୁରୁତ୍ବ କି ତ୍ୱାଳିଶାପ ବେଳି ଅଶ୍ଵରୀରେବଦା ଗାତ୍ରାପିତ୍ରେବୁଲ ଶେଷିଲି-ଶେଷିଲି.

— ହୃଦୀର ପିପି? — କ୍ଷେତ୍ରକା ଦୋଷାତ ବାଦ୍ୟମା.

— ବାପି, ମାତ୍ରାମି ମାଲୀର କାରିଗାତ ଅରା.

— ହାତିଲୁହନ୍ତି, ଏହା, ଯୁଦ୍ଧାଳ୍ପରେ ଶତାବ୍ଦୀକାନ ଦା ମନ୍ଦିରାନ୍ତ ଶାନ୍ତିର-କାଳାମି ଦା କାଳାଲିଦା.

ମଦ୍ୟଦେଲି ମେତିଶ-ମେତି ପୁରୁଷାଦିଲୁହନ୍ତି ଅଭ୍ୟବ୍ରନ୍ତେବଦା ତ୍ୱାଳି ଯୁଦ୍ଧାଳ୍ପ ଅମିଶ. ପାତ୍ରାରା ଲୋକରିଦା ଦାତିରିକାଲିଦା ଦା ଏହି ହାତିଲୁହନ୍ତି ଯୁଦ୍ଧାଳ୍ପରେ ମିଶାତ.

— ମିଶାତ ଆହିବା! — ହେଠାରୁଲାତ ଦାଇଦାକା ପ୍ରେରଣିକମା. — ଏହା, ଆତ୍ମା ଶେଷିଦିଲାତ, ହୃଦୀରତ.

— ମେ କି ଅରା, ଶେଷ ଶବ୍ଦା ଦାନ୍ତରେ! — ମନ୍ଦିର ଗୁରୁତ୍ବମା.

— ମେ? — ହେଠାରୁଦାକା ପାତ୍ରାରା ଲୋକରିଦା ଦା ମତିଲାତ ଗାନ୍ଧିତିଲିଦା. —

ମେହି ମନ୍ଦିରକାରୀରେବ କାରିଗାତ ଦାନ୍ତରେବ? ତ୍ୱା ବିନିମ୍ୟ ଏହି ମାତ୍ରାଶିଳିରେ, ଦ୍ୟୁମା ଶେଷିଲିଦିଲିବୁ ବୁଦ୍ଧିମତ୍ତିରେ.

— ଏହାରୁଦିଲି ପିପି, ଏହା ଦାନ୍ତରେ, କୋମିନ୍ଦିଶି ଏହା ଦାଗ୍ରନ୍ତିଲୁହନ୍ତି ଶେଷ-ଦିଲିଦିଲିବେଳିରେ ଏହାରୁଦିଲିବେଳିରେ. ଏହା, ଦାନ୍ତରେ!

ପାତ୍ରାରା ଲୋକରିଦା ଶତାବ୍ଦୀକାନ ସାଗାରିଦେଲିଶି ମନ୍ଦିରାଶିରେ, ହ୍ୟାମ କାଲାମି ଶାନ୍ତିରେଲିଶି ଦା ପିପିକା:

— ଏହା ଦାନ୍ତରେ?

— ଦାନ୍ତରେ, ଏହାରୁଦିଲିଶି ତାପି ଦାନ୍ତରେବନ ଦା ମନ୍ଦିରରେ ପ୍ରେରଣାକୁହାନ୍ତିରେ.

პატარა ლორდი დინჯათ და დაფიქრებით შეუდგა საქმეს. როცა გაათავა, მოკრძალული ღიმილით გაუშეირა წერილი ბაბუას.

— კარგათ არის? — ჰკითხა მან.

გრაფმა წერილი გადაიყითხა, ცოტა გაღიმა ულვაშებში დაქვა:

— ხიჯინს უთუოთ ძალიან მოეწონება! — მერე წერილი მავდელს გაუშეირა.



მორდაუნტმა წაიკითხა შემდეგი:

„ძეირფასო!“ მისტერ ნევიკ! თავი დაანებეთ ხიჯინსს, ნულარ შეაწუხებთ უულების გულისთვის. ამითი ძალიან დამავალებთ.

თქვენი პატივისმცემელი ფაუნტელროი“.

— მისტერ გობისი ასე მოაწერს ხოლმე წერილს ქვეშ. — გამოაცხადა პატარა ლორდმა. — უშეცდომოთ დამიწერია?

— ზოგი სიტყვა სულ სხვანაირათ იწერება! — გაიღიმა გრაფმა.

— აი, მეც მავისი მეშინოდა! — წაილაპარაკა ბავშმა. — მე უნდა მეკრთხა თქვენთვის. როცა სიტყვაში ორ მარცვალზე მეტია, ყოველთვის მეშლება ხოლმე. ახლავე გადაწერ.

ბავშმა ხელ-ახლათ, ძალიან გულმოლგინეთ გადაწერა წერილი, თანაც ბაბუას ჰყითხავდა, როგორ იწერებოდა თათქმის ყოველი სიტყვა.

გადაწერილი ბარათა მღვდელს გადასცეს და მორდაუნტი პირველათ გამოვიდა გრაფის სასახლიდან სრული კმაყოფილი და ბედნიერი. პატარა ლორდმა კარებამდის მიაცილა, მერე ბაბუასთან შობრუნდა.

— ე— ე—.

(შემდეგი აქნება)




## გველების ამგავი.

(თარგმანი)

**გ**ველები უველაზე ბოროტი, საშიში და გაუმაძღარი ცხოველებია. წოვი მათვანი, როგორც მაგალითათ ბოა, შიშის ზარს სცემს კაცს თავისი უშველებელი ღონით და სიმარდით; სხვები კი, როგორიც მაგალითათ მკრგვინავი გველი, ისეთი შხამიანები არიან, რომ მათი ნაკბენი კაცი, თუ სხვა ცხოველი, აუცილებლათ და მალე კვდება: იმათი ნაკბენის მორჩენა შეუძლებელია. ბოა, გასაოცარი სიდიდის გველია, სიგმით სან ექვს საშენზე მეტია სოლმე. ბეკრჯელ უნახავთ ინდოეთში, რომ ველზე სქლათ ამოსული მაღალი ბალახი ერთბაშათ შეინძრევა და შიგ სრიალით





ა ნ ა კ ო ნ დ ა .

და სისინით მიცურავს უშელებელი გასელი, ზნექავს და ამტვრევს ბალახის ღერებს. მოჟერავენ თუ არა თვალს ამ ძღველგარე ბალახის ზოლს, მამინვე იკრძნობენ

რაც უნდა იუვეს და დამფოხალნი ვეფხები, გარეული კამეჩები, ხარები ან გაცი აქეთ-იქით გარბიან. მართლაც რომ ეველა ცხოველს გაქცევა ჰმართებს. ბოას საშინელი შირი აქვს. მას შეუძლიან ხბო, თხა, ვეფხი და მროხაც კი მთლათ გადაულაპოს; მხოლოთ ჯერ დაამტკრევს, და ამსხერევს მათ ძვლებს. ესეც კი უნდა ჭოქვათ, რომ კაც, თუ მრიელ მშეირი არ არის, არ გამოუდგება ხოლმე.

ერთხელ ერთი მოგზაური ციცაბო, ტიტველა მთაცე მიდიოდა და მორი ახლოს დაინახა, თითქოს ერთ ალა-გას შვენიერი უვავილები ამოსულაო. მიუახლოვდა მოსაგლეჯათ, მაგრამ თავ-ზარ დაცემული უკანვე გადახტა და შეჭკივლა; ეს იუო უმველებელი, ქადასავით მოხვეული გველი და მისი ხაორანი ზურგი მზეზე ბრჭყვინავდა. მოგზაური გაიქცა. გველი ადვილათ დაეწეოდა, მაგრამ არ გამოუდგა, მხოლოთ გადასრიიალდა მეორე ალაგას და ისევ მზეს ზურგი მიუშვირა. ამ მემთხვევამ ისე დააშინა მოგზაური, რომ შემდეგში დიდი სიფონილით მიუახლოვდებოდა ხოლმე იმ ადგილებს, საჭა ბევრ შეჯგუფულ უსავილებს ნახავდა. ბოასი ეშინიათ უფრო ევროპიელებს, რაღანაც უჩვევნი არიან და თავიანთ ქვეუანაში ამისთანა გველი არ უნახავთ. ზანგებს და მალაიელებს ასე არ ეშინიათ და ხშირათ თვათონკე დაეცემიან ხოლმე უბრალო, გალესილი დანით. რო შეიტუობენ ამა და ამ ალაგს ბოა არისო, ისინი მიუახლოვდებიან და ბოას შორი ახლოს,

დედამიწაზე, დაწვებიან, ესე წვანან გაუნძოევლათ, სანამ  
 ბოა მათ დაინახავდეს. რაკი ბოა მოჰქონდეს თვალს თა-  
 ვის მსხვერპლს, გამოსრიალდება მის შესაჭმელათ, მაგ-  
 რამ ამ ღროს კაცი მიაგებებს თავის მჯოელ დანას, ჩა-  
 ურჭობს კისერში და თავიდან ბოლომდის შუბზე გააპობს  
 და მოჰქონდეს. ბოასავე გვარს ეკუთვნის ა ნ ა კ ო ნ დ ა. ეს  
 უკანასკნელი უფრო წეალში ცხოვრიბს, ძეტის-მეტი ზარ-  
 მაცი, მოუხერხებელი და უმნო ცხოველია. ცოტათი რომ  
 დასჭირა, მაშინვე მკვდარივით გაიჭიმება. ზანგები ხშირათ  
 ცურვით გამოეკიდებიან ხოლმე, და როცა ანაკონდა წეალ-  
 ში ჩაუურეუმელავებას დააპირებს, მოხვევენ კისერში ხელს  
 და გრძელი დანით მოჰქონდენ ხოლმე. ინდოეთში და ზონ-  
 დის კუნძულებზე ბოა საშინლათ ათხრებს არე-მარეს; იმათ  
 გასაწუკეტათ ხალხი ხან-და-ხან მთელ ტუეს გადასწვავს  
 ხოლმე. აი რას მოგვითხრობენ მოგზაურები ამ გველზე:  
 „ჩვენ, ამბობს ერთი ვოლანდიელი კაპიტანი: სურინამში  
 ხომალდით შევეღით და იქ გავჩერდით. მე ძლიერ გამა-  
 ცივა და ვიწევი: ხომალდის მორიგი დარაჯი მოვიდა ჩემ-  
 თან და მითხრა, რომ ნაპირზე ბუჩქნარში შავი რაღაცა  
 წევსო, მკონი კაცია, და ჩვენ მახილზე ხმას არ იღებსო.  
 ჩავჯერი ნავმი და გავწიე ნაპირისკენ. გადავდგი თუ არა  
 დედამიწაზე ფეხი, მომიახლოვდა ერთი ჩვენი ტევეთაგანი,  
 ზანვი დაჭითი, და მაცნობა, რომ ბუჩქნარში გველი ჩა-  
 წოლილა და, თუ მოინდომებთ, იმისი მოკვლა ადვილია.

მე გველის მოკვლა არათ მეტრიანებოდა: სისუსტეს ვგრძნობდი; გველი ღიღი და საშიში უნდა ეოფილიყო, ბუჩქნარში გამორმაც ადგილი საქმე არ იუო — და უველა ამ მოსაზრებით ვარჩიე უკან, ხომალდზე დავბრუნებულიესავი, მაგრამ დაგითმა მთხოვა: — მე მაინც მომეცით ნება მოკვლისა, აქ საშიში არაფერიაო. მე არ მინდოდა გულადობაში ზანკს ჩამოვრჩენოდი და გადავწევიტე გველის მოკვლა; ავიღე თოფი და გავწიე; ზანგი წინ მიმიღვოდა, გზას მიჩვენებდა და მიკვალავდა; მე უკან მივდევდი; ჯარის კაცო უკან სამი გატენილი თოფი კიდევ მოჰქონდათ. გავიარეთ ორმოცდა ათი ნაბიჯი. გზა მოკლე იუო მაგრამ მნელი; სან წეალში მოგვიხდა ტოპვა, სან ქვიშაზე და სანაც ბუჩქებში მრომა. უციათ ზანგმა შემაუენა და მითხრა: „მოიცავეთ, აგერა გველიო!“ მართლაც გველი გაწოლილიყო იქვე ახლო სქელ, ღიღ ფოთლოვან წელის ძცენარებში. მის თავს კაცი მლივს გაარჩევდა მწვანე ფოთლებში, თუმცა სულ ოც ნაბიჯზე-და ვიუავით. ბოლოს როგორც იუო გავარჩიე: თავის თრკაშ ენას აქეთიქით აცანცარებდა; მისი კრიალა თვალები თითქო ნაზერწყლებს აფრიკევდენ. თოფი რომ არ ამეცდინა, გავდე ხმელ ტოტზე და სიფრთხილით დავუმიზნე. მოვწიე ჩანახს, ტუვიამ ჯაიგრიალა და ლაწანი მოიღო გველის ხაოზე, მაგრამ თავში არ მოხვდა. გველი შეხტა, მიაწედა ერთ მხარეს; დალეწა, გათელა ბუჩქები, გაუტელაშენა

ბოლოთი ჭაობიან ალაგს და თავიდან ფეხებამდის ტა-  
ლახში ამოგვსვარა. მე და ჯარის კაცი გავიქეცით. ზან-  
გი კი წენარათ, ვითომც ჯე არაფერიაო, იდგა ერთს ალა-  
გას და გაფაციცებით ადევნებდა თვალს გველის მომრაო-  
ბას, სიამოგნებისაგან თრთოდა და სტოდა, რომ ამოდენა  
სანადირევი თითქმის მის სელში იუ; გვიძახდა, ფიცუ-  
ლობდა, რომ გველს საცაა ღონე გამოელევა და სრულიად  
ჩვენ გამოკიდებას არა ჰუიქობისო. მე ამოვირჩიე ალაგი,  
სიდანაც არხეინათ სეირის უურება შემებლო. გველმა ბი-  
ნა იცვალა, თავი ფოთლებს ამოაფარა და გაუუჩდა. მე  
კიდევ ვესროლე, მაგრამ ახლა ტუვამ მარტო ზაო გა-  
უენწლა. გველი ისევ შეხტა და მიწაზე ზღართანი გახ-  
და, საშინელი ძალით დაარტეა ბოლო ჭაობს და დიდ  
ჰალი ტალახი შემოგვასხა. ჩვენ ხელ-მეორეთ ნაპირისკენ  
გავიქეცით, მაგრამ ზანგმა აქაც შეგვარცხვინა თავისი  
უშიშრობით და სიმშვიდით. მესამეთ მიგუახლოვდით გველს  
და ერთბაშათ სამი თოფი ვესროლეთ, ვიღამაც შიგ თავ-  
ში მოარტეა. გახარებული ზანგი გაექანა ნავისკენ, ამი-  
რო თოკი, უნდოდა მოება გველისთვის და წეალში ჩაეთ-  
რია; მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იუ; გველი თუმცა სა-  
სიკვდილოთ იუ დაჭრილი, მაგრამ იკლანკებოდა და ისე-  
თი ძალით ზან დაიხვეოდა, ზან გაიძლებოდა, რომ ახ-  
ლო მისვლა კიდევ საშიში იუ; შეეძლო კაცი მოეკლა.  
ზანგმა ქამანდი გააკეთა და რამდენსამე ცდას შემდეგ უელ-

ზე მოაგდო. სამივემ გავათრიეთ გველი, ჩავაგდეთ წესლ-  
 ში და თოკი ნავს ბოლოში გამოგაბით. ვიპოვნეთ თ-  
 არა იმისთანა ადგილი, საცა ნაპირზე გამოსვლა შეიძლე-  
 ბოდა, ვადმოვედით ნავიდან და გველი ერთ ხესთან მი-  
 ვათრიეთ. ზანგი აძვრა მაშინვე ხეზე. (ცალი წვერი თო-  
 კისა ხელში ეჭირა) გამოსდო ტოტს და ორი სხვა ამ-  
 ხანავის დახმარებათ უშველებელი გველი შეაკონტიალ  
 ხეზე და თოკი მაგრა შეჭრა. მერე სისწოდეთ მიწაზე  
 ჩამოვიდა, კბილებში მჭრელი, წვერიანი დანა დაიჭირა,  
 მოხვია გველს ხელები და ფეხები და ზედ, როგორც  
 ბომზე, ისე აცოცდა. გველი იყლანკებოდა, მაგრამ ზან-  
 გი ამას უურს არ უგდებდა. ის მარტათ ავიდა თავაძღის,  
 შემოჭრა ტუავი და იქიდან მრობა დაიწურ. მე ზიზღით  
 და შიძით ვუურებდი ამ ველურ საქმეს, რასაკვირველია,  
 უჩვევი რომ ვიუავი, იმიტომ. ჩვენ ბავშობიდანვე დაშორე-  
 ბულნი ვართ ბუნებას. არ ვიცით რა ხდება იქ, არ ვა-  
 კვირდებით მის მოვლენაებს და ამის გამო უველა ქვა-  
 მშრომი საზიზღრათ და საშიშრათ მიგვაჩნია: არიან იმი-  
 თანა უვიცი, გამოუცდელი ბავშები, რომელნიც ლამაზ,  
 უვნებელ ჭიას დანახვაზე ჰქონებიან და გაჭკივიან. ამას  
 გარდა, ჩვენ ეველა გველი შხამიანი გგგონია. ბოა კი  
 შხამიანი სრულიათაც არ არის. ზანგი უურებს მას რო-  
 გორც უველა ხევა ცხოველს. ბავშობიდანვე მას თვალი  
 შეუჩვევია, მისთვის ბოა საუკეთესო, უგემრიელესი საჭმ-

ლია; მისი დანახვა ზანგს სასიამოვნო ნადიმს და გემრი-  
კლ საჭმელს მოაკონებს. ამიტომ ნურც გავიკვირდებათ  
რომ ზანგი ასე მხიარულათ და გულმოდვინეთ ბოას ატ-  
ჟავებდა. ჩვენგან მოკლული გველი კიდევ ისე დიდი არ-  
იყო — თუმცა სიგძით ოთხი საჟენი ისიც იქნებოდა; მისი  
ტანიდან ორმოცი თუნგი ქონი ამოვიღეთ; ახლა რამდენი-  
გვგიფუჭდა. ეს ქონი ჯარის ექიმს გავუგზავნე; როგორც  
ის, ისე მისი ავათმეოფნი ჩემი დიდი მაღლობელნი იუ-  
გენ; ბოას ქონი ჭრილობისთვის უებარი წამალია. გველს  
შიგნეულობა გამოვაცალეთ და კიდევ მოძრაობდა. მე გა-  
ეკირვებული ვიუავი ამ სანახავობით, მაგრამ ერთმა ხან-  
ში შესულმა ზანგმა მითხრა, რომ სანამ მხე არ ჩავა,  
ებ არ მოკვდებათ.

არ ვიცი, იქნება ნაცადი ჰქონდა, ან გაეგონა საზმე.  
ზანგებმა დასჭრეს გველის ხუცი და საჭმელს ამზადებ-  
დნენ. როგორც ისინი ამბობდენ, ბოას ხორცი საღი და  
გემრიელიათ. გველის ქერქი რომ არ დამჰალიუო, მოვა-  
ჟარე ნაცარი, მსეზე გავაშრე და ერთ ჩემ მეგობარს გა-  
უგზავნე.

კოტე.

(შემდეგი იქნება).



## თხა და გეზვარე.

(ეტოპილან გაღმოკეთებული).



E

ეცხვარებ ერთხელ შენიშვნა,  
თხა ჩამოცლოდა ფარასა,  
მოსურვებოდა სეირი  
იმ ეშმაკს წვერ-ცანცარასა.

მეცხვარე ბევრსა უძახდა,  
სელსა უწეობდა სალამურს,  
მაგრამ თხა, თითქო კიბრობ  
სო.

არ ათხოვებდა სრულად უურს.

—

ბოლოს მოჰყეზრდა, მოწეინდა,

მთლათ გული გადაელია,  
და, რომ დასაჯოს რითიმე,  
ქვას წამოაკლო სელია;

—  
რაც მალი ჭქონდა, ესროლა,  
რქა მოატეხა მირშია...



შეშინდა, თხასა მუდარით  
კოცნა დაუწეო პირშია:

„ნუ ეტევი ჩვენსა ბატონსა  
და ნუ გამომჭრი უელსაო,  
შენი მლოცველი ვიქნები—  
არას დროს გახლებ სელსაო!..“

„რა სულელი ხარ,— უთხრა თხამ,—  
მე რომ მთხოვ რაღაც შველასო:  
თუ მე გაგრძელე რქა მაიც  
თითონ უამბობს უველასო!..“

ზოგისა სულელი ქცევა  
მრავალთგან განცადია:  
ხშირათ ცდილობს ის დაჭვაროს,  
რაც რომ დღესაცი ცხადია.

ბ. დავითაშვილი.





## მეცნის ქორი და თვილისი.

ას აქეთ დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში ერთი ძლიერ შესანიშნავი მეფე ცხოვრებდა. ამ მეფეს ვასტანგ გორგასლანს ეძახდება. მცხეთა იმ დროს დიდი ქალაქი იუო და ჩვენი მეფეები იქ ცხოვრებდენ; თვილისის ქალაქის ხსენება კი ჯერ არც კი იუო ქვეყანაზე. ის ადგილები, სადაც ახლა თვილისის ქალაქია გამენებული, უდაბური ტუებით იუვენ მოცული, და ამ ტუებში აუარებელი ნადირი და გარეული ფრინველები იმუოფებოდენ. ამიტომაც ჩვენი მაშინდელი მეფეები ხშირათ დადიოდენ, თურმე, სანადიროთ თვილისის მიდამოებში.

მეფე ვასტანგ გორგასლანს ნადირობა უეგარდა და, როცა კი მოცალება ჰქონდა, ხშირათ დაბძნდებოდა სანადიროთ თავისი ქორ-მიმინოებითა და მწევარ-მემებრებით. ერთხელ ეს მეფე ნადირობდა, თურმე, იქ, სადაც ახლა თვილისის აბანოები არიან. ამ თვილსა და უდაბური ტუით დაფარულ ადგილს მრავალი ხოსტი და სხვა ფრინველები ეტანებოდა.

მეფე შვენიერ ბერაურზე იჯდა; გარს დიდ-კაცურათ

გამოწყობილი ამაღლა ერტეა, ხელზე თავისი საუკარელი და გეშილი ქორი უჯდა, რომელიც თვალებს აბრიალებდა და ხოხობის აფრენას ელოდა. მეფის მონადირენი და მებძრები ტექს მოსდებოდენ.

აგერ მოისმა მეძებრების წაწეანი, და ამ ღროს აფრინდა მამალი ხოხობი. ქორი იმ წამსვე მოძორდა მეფის ხელს, მოისმა ექვნების წყარუნი, ერთი შეინაურდა და ზემოდან დაეცა გავრენილ ხოხობს, მაგრამ ქორიცა და ხოხობიც ერთბაშათ სადღაც გაჭერენ. მონადირეებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ დიდხანს ვერ იარვეს. ბოლოს ნახეს, რომ ხოხობიცა და ქორიც თრივენი ცხელ წეალში ჩაუარდნილიერენ და თითქმის მოხარშულიერენ.

როცა ეს ამბავი მეფე ვახტანგს მოახსენეს, ის მიბანდა იმ ადგილს, კარგათ გაძინვა და დარწმუნდა, რომ იმ ტექი მრავალი თფილი წეაროები გამოდიოდენ. თუმცა საუკარელი ქორის დაღუპვა ეწუინა, მაგრამ ნაცვლათ გულში გადასწევიტა ტექების გაკაფვა და იმ ადგილს ქალაქის გაშენება. მართლაც, დიდი ხანი აღარ გასულა მას შემდეგ, რომ მეფე ვახტანგ გორგასლანმა ააშენა აქ ქალაქი და სახელათაც უწოდა თფილისის ქალაქი, ესე იგი, თფილ წეაროებიანი ქალაქი. ასე და ამ ნაირათ გაჩნდა ქვეუანაზე ჩვენი ახლანდელი თფილისის ქალაქი, სადაც შემდეგ ჩვენმა მეფეებმა გადაიტანეს მცხეთიდან თავიანთი სამეფო ტახტი.

ჯემს გარფილდის ცხოვრება.

## XXVI.

(დასასრული)



რი წლისა და სამი თეის ბრძოლის ველზე გატარებას შემდეგ გარფილდს მოელოდა კიდევ ერთი ახალი წარმატება. ოგიოს ოლქმა, პრეზიდენტი ლინკოლნის სურვილის თანახმათ, ახალგაზღალა ღენერალი, ხმის უმეტესობით, თავის წარმომადგენელათ ამოირჩია კონგრესში დასასწრებათ და 1863 წ. ქრისტეშობისთვეში გარფილდმა პირველათ დაიკავა თავისი „თეთრ სახლში“. ეს არის საერთო შენობა, სადაც შეერთებულ შტატების უკელა პროექტების წარმომადგენელები თავს იყრიან და სადაც ცხოვრებს თეთრ პრეზიდენტი. ამაირჩია, გარფილდი კონგრესის სხდომებშიაც იღებდა მონაწილეობას, სენატორათაც იყო და ლექციიებსაც ჰკითხულობდა აირამის ინსტიტუტში იმ თვეებში, როდესაც დეპუტატების კრება დაშლილი იყო. ოგიოს ოლქი 17 წლის განმავლობაში იჩეედა ჯემს გარფილდს თეის წარმომადგენელათ და მისით ამაყობდა ყოველი მისი თანა მემამულე, ამიტომ გასაკვირელიც არ არი, რომ 1880 წ. რესპუბლიკელების დასმა ერთხმათ გარდასწყვიტა, აერჩიათ იგი პალატის წევრათ. როცა მევობრებმა აცნობდს ეს ამბავი, გარფილდმა თქვა:

— თქვენი ნებაა. თუ კი თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ ეგ საჭიროა, მე წინააღმდეგი არ გაგიხდებით.

— ჩვენ გვსურს აჩჩევნებზე დაესწროთ და ჩვენთან ერთათ კოლუმბუსში წამოხვიდეთ, ეუბნებოდენ მევობრები.

— არათრის გულისთვის! ფეხსაც არ გავანძრევ იმ საპატიო აღ-  
 გილის საშოვნელათ. მთელ ჩემ სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ  
 ყითხოვ ადგილი ეზოს მცელობისა აირამის ინსტიტუტში. თუ ხალ-  
 ხი მოისურვებს, უიმისოთაც ამომირჩევს. თუმცა ამხანაგები ბევრს  
 ეხვეწენ, ემუდარენ, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა:

— ეთქვი, რომ არ წავალ არჩევნებზე და არც გადავალ ჩემ სიტყვას.

როცა კანონმდებელმა კრებამ გახსნა თავისი სხდომები „ოე-  
 თო სახლში“ (გაშინგტონშია), საზოგადოებას ისე ნათლათ ემჩნეო-  
 და გარფილდის მომხრეობა, რომ დანარჩენ კანლიდატებმა კენჭი აღარ  
 იყარეს და ჯემი ერთხმათ არჩეულ იქმნა შეერთებულ შტატების  
 სენატორიათ. როდესაც გარფილდი წარდგა ამომრჩეველთა წინაშე,  
 ისეთი შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა, რომ ხალხი აღტაცებაში მო-  
 იყვანა.

ამნაირათ, ჩვენი გმირი თან-და-თან წარჩინებულ აღგილს შო-  
 ულობდა. სულ არ გასულა ხუთი თვე რომ გაიხსნა პრეზიდენტის  
 ადგილი. გარფილდი თვითონ დაესწრო იმ სხდომას, რომელზედაც  
 პრეზიდენტი უნდა ამოერჩიათ. თუმცა ჯერ იმდენათ არ იყო დამ-  
 სახურებული, რომ უფლება პჟონოდა პრეზიდენტის აღგილის კან-  
 დიდატათ გამოსულიყო, მაგრამ საერთო ყურადღება მაინც მისკენ  
 იყო მიპყრობილი. იტყოდა თუ არა ორიოდ სიტყვას, გაისეირნებდა  
 თუ არა კრების დარბაზში, ყველგან და ყოველ მხრით აღტაცებუ-  
 ლი ტაშის კვრა შეხვდებოდა ხოლმე. ცხადი იყო, რომ საზოგადო-  
 ებასა და მის შორის რაღაც ძლიერი და მტკიცე კავშირი არსებობდა.  
 არჩევნების დღეს ყველა გრძნობდა, რომ, ერთი ფრიად სახელ-  
 განთქმული რესპუბლიკულთაგანი იქნებოდა პრეზიდენტათ არჩეული.  
 უცებ ოგიოს შტატის წარმომადგენელებმა გაშალეს თავიანთი დრო-  
 შა და შეჯვუფდენ აღელვებულის და განცვიფრებულის გარფილდის  
 გარშემო. ხმა შეიდას წარმომადგენელთა და 15 ათას მაყურებელ-  
 თა შეერთდა და გადაიქცა ერთ მძღვანელ და აღტაცებულ ვაშის ძა-  
 ხილათ. დროშები აფრიალდენ, რამდენიმე ორკვესტრმა დაკრია-

ლა ერთათ პატრიოტული ჰიმნი; „შევერთდეთ მჭიდროთ დროშას  
გარშემო“ ამავე დროს ქუჩაზე ზარბაზნების გრიალიც მოისმა და  
უველა მიხედა; რომ ხალხმა იცნო ჯემს გარფილდი შეერთებულ



შტატების პრეზიდენტობის ღირ-  
სათ. ერმა გვირგვინი დაადგა თა-  
ვის ერთგულ შეილს და ამას მთელ  
ქვეყანას სიამაყით ატყობინებდა.  
ლენერალი გარფილდის პრეზიდენ-  
ტათ არჩევის ამბავმა ელვის უმაღ  
მოიარა მთელი ქვეყანა.

ამნარათ, 1880 წ. 2 გიორ-  
გობისთვეს, გარფილდი შეერთ-  
ებულ შტატებს პრეზიდენტი გახ-  
და და საცხოვრისებლათ „თეთრ სა-

გარფილდი პრეზიდენტი.  
გაგიკერდებათ ამისთანა მოკლე ხანში „ძელურიდან“ თეთრ სახლში  
გადასახლება.

ჯემს გარფილდმა თავისი ბრწყინვალე ნიჭი პრეზიდენტობისა  
პირველ ოთხ თვეშივე გამოიჩინა. ეს კაცი სწორეთ ღირსი იყო იმ  
პატივისცემისა და თანაგრძნობისა, რომელიც მას მთელმა ერმა და-  
უმტკიცა. ამისთანა სწავლული და თანაც ახალგაზლა პრეზიდენტი  
ჯერ არ ჰყოლოდა ამერიკას. თითქმის ნახევარი ნაწილი თავის სი-  
ცოცხლისა ამ კაცმა ერის მოთხოვნილების შესწავლას შესწირა;  
თავის სამშობლოს კანონებს ის უყურებდა, როგორც ხელ-უხლე-  
ბელ სიწმანდეს. გარფილდის პრეზიდენტობაში, შეერთებული შტა-  
ტების უცხო სახელწიფოებთან ვაჭრობა გაცხოვლდა. ზანგებრს თა-  
ვისუფლებას ახლა კვლავინდელზე უფრო თავგამოდებით იცავდა.

მინისტრების არჩევის დროს, გარფილდი მხოლოდ იმაზე ზრუ-  
ნავდა, რომ ყოველი საუფროსოსათვის პატიოსანი და მხედ კა-  
ცი ეშვეა, რაჯგან საქმით მოქანცულ სახელმწიფოს უსათუოთ

მოსეენება ეჭირვებოდა. პატიოსანმა გარფილდმა ბევრი მტერი გაი-  
ჩინა მით, რომ წარმომადგენელთა ჰალატის ერთ წინადადების დამ-  
ტკიცებაზე უარი განაცხადა. ამ წინადადებით ყველა სასაჩერებლო და  
თვალსაჩინო ადგილები მარტო სენატორებს უნდა რებოლდათ. გარ-  
ფილდისაგან ამ უარის თქმამ საშინელი აღელვება გამოიწვია. მის  
მოწინააღმდეგ დასის მეთაურმა მაშინვე სამსახურს თავი დაანებეს და  
ჰალატის თითქმის ერთხმათ ხელახალი არჩევნების დანიშვნა მოით-  
ხოვა. იმ ამ დროს ერთმა კაცმა, სახელათ გიტომ, პრეზიდენტის-  
მოკვლა განიზრახა.

ძნელი ასაწერია ის ამბავი, რაც მოხდა ივლისის დილას. შეე-  
ნიერი ტაროსი იყო; ბრწყინვალე მზის სხივები ანათებდენ თითქო  
სადღესასწაულოთ მორთულ-მოკაზმულ დედა-ქალაქს. გარფილდს,  
შრომით მოქანცულს, ბავშივით უხაროდა თავისუფალი დროს მოა-  
ხლოვება. გადაწყვეტილი ჰქონდა ენახა ჯერ ცოლი, ლონგ-ბრენჩში,  
სადაც ის ხანგრძლივი ავად-მყოფობის შემდეგ იყო წასული, შემ-  
დეგ დასწრებოდა უნივერსიტეტში წლიურ აქტის თავის სტუდენტობის  
დროის ამხანაგებთან ერთათ და ბოლოს ერთი ორი კვირით სწვეო-  
და თავის ძერტას დედას. რამდენი სიამოვნება მოელოდა!

გიტომ ეს ყველაფერი გამოიყითხა, იშვეა რევოლუციერი და ორ-  
ელისს, დილით, ერთი საათით წინ პრეზიდენტის მოსელამდე, ბალ-  
ტომორის სადვურზე გაჩერდა. წინდაწინ იქირავა დახურული ეტლი,  
რომელშიაც მკვლელობის ჩადენის შემდეგ უნდა შეეფარებინა თავი. გარფილდი ახდილი ეტლით სადვურს მოადგა, ჩამოეიდა და პლატ-  
ფორმაზე ნელა მოდიოდა. პოროტ-მომქმედი კვალ და კვალ აედევნა,  
დაუმიზნა რევოლუციერი უკნიდან ზურგში და ესროლა. გარფილდი  
წაბარბაცდა, მობრუნება მოინდომა, მაგრამ იქვე წაიქცა. იმ წამიე  
რევოლუციერი მეორეთ გაეარდა. გამოუთქმელი თაეზარი დაეცა უკე-  
ლა ამ სცენის ლამაზეელებს. ხალხმა მკვლელი კინალაშ ლუკა-ლუ-  
კა დაგლიჯა. ეკონათ პრეზიდენტი იქვე გათავდებოდა, მაგრამ რო-  
ცა თეთრ სახლში ფრთხილათ გადიტანეს, ცალის ბეჭითი მოვლი-

სა და გამოჩენილ ექიმების წყალობით მისმა ძეირფასმა სიცოცხლეში  
 ორი ივლისიდან 14 სექტემბრშიდე გასტანა. აქაც დამტკიცდა ამ შე-  
 სამჩენევი კაცის რკინის აგებულება. მიუხედავათ საშინელი ტკიე-  
 ლებისა ის სულის სიმხნეებს მანც არ ჰყარგავდა და ხმა-ამოუ-  
 ლებლივ იტანდა ტანჯვას. აუარება ხალხი გროვდებოდა ყოველ დღე  
 თეთრი სახლის მოედაზე და მოწიწებით გაჩუმებული ელოდა ცნო-  
 ბებს ავადმყოფის მდგამარეობის შესახებ. გულითად თანაგრძნობის  
 გამომხატველი წერილები და დეპეშები მასდიოდა ქალბატონ გარ-  
 ფილდისას ამერიკის და ევროპის ყველა კუთხეებიდან. ის პირები, რო-  
 მელნიკ პრეზიდენტს თავს დასტრიალებდენ, მუდამ იმასა ცდილობ-  
 დენ, რომ როგორმე გაერთოთ იგი. მაგალითად, იურდენ რომ ყვა-  
 ვილები ძალიან უყვარდა და შევნიერ თაგულებს უდგამდენ წინ.  
 არაურ სამწუხარო ამბებს არ უმხელდენ, ასე რომ ავადმყოფი ყო-  
 ველთვის მხოლოთ მშეიდ, ალერსიანათ მომლიმარ სახეებს ხედე-  
 და. თითონ ცოლი მხიარულ ფერის კაბებს იცვამდა, რომ ქმარს  
 მწუხარება არ შეემჩნა. როდესაც ავადმყოფობა ოდნავ შეუმსუბუქია,  
 ექიმებმა გარფილდს ჰაერის გამოცვლა ურჩიეს. დიდი სიფრთხილით  
 გადიყვანეს ნიუ-ჯერსეიში, რაღვანაც ეგონათ — ზღვის სიახლოეს დ  
 დედის ნახეა ცოტათი მაულანიერებს და გულს გაუხალისებსო; გზა-  
 ზე თითქმის ცოტა უკეთ შეიქმა; მორჩენის იმედიც მიეცათ, მაგრამ  
 შეაბედითი წამი ახლოვდებოდა და სწორეთ იმ დროს, როდესაც  
 შეერთებულ შტატების საზოგადოება თავს ინუგეშებდა იმ აზრით,  
 რომ პრეზიდენტი მორჩებაო, მან განუტევა სული. მიცვალებულის  
 გვამი ისევ ვაშინგტონში გადმოიტანეს, სადაც ორი დღის განმავლობა-  
 ში ურიცხევი ხალხი მოდიოდა სამშაბლოსათვის თავდადებულ და  
 პატიოსანი მოღვაწის ცხედრის სააშშორებლათ, შემდევ წაასვენეს მის  
 სამშაბლო ქალაქ კლეველანდში, სადაც 1881 წ. 26 ენკვენისთვეს,  
 მიაბარეს კიდევ მიწას.

ბატუა.

## საპვირველებანი გუნებისა.



### 6.

კრუბუთი (La Rafflesia).

ი კიდევ უცნაური მცენარე: არც  
 ღერო აქვს, არც შტო, არც ფო-  
 თოლი, — მარტო ერთი უვავილია;  
 უნწიც კი არ აბია ამ უვავილს.  
 მოდის ცხელი ქვეყნის კუნძუ-  
 ლებზე: სუმატრასა და იავაზე.

მიწაში ამოსვლა არ უშეარს, ხარობს ერთი ვაზი-  
 ვთ მცენარის (სისუსი) მირებზე.

სწავლულები ეძახიან მას „რაფლეზია არნოლდის“,  
 მაგრამ მისი ნამდვილი სახელი, მის საკუთარ სამშობ-  
 ლოში, არის კრუბუთი და ჩვენც, რასაკვირველია, ნუ  
 გამოვუცვლით ამ სახელს.

უვავილი კრუბეთისა შესდგება ხუთი დიდონი და  
 ძლიერ ტლანტი უურცლებიდან. გული უვავილისა ამ  
 ფურცლებშეა ჯამივით არის ამოლრმავებული. უერი აქვს  
 უვავილს სისხლივით წითელი. გულში უდგას სიტკბოე-  
 ბა ანუ თაფლი.

სიდიდით თითქმის უკელა უფავილებზე დიდია; წისქილის ბორბლის ოდენაა.

გულში ერთი კოკა წეალი ჩაეტევა. ირგვლივ სუქნასევარზე მეტიც გამოვა. თითო მისი კოკორი კაცის თავზე დიდია.


სილამაზითაც ბევრს უფავილს მოუცდება იმასთან შედარება. მალიან ლამაზია, მალიანაც დიდი, მაგრამ ერთ უბედურობა სჭირის ამ უფავილს — ეარს, როგორც დაშალი ლეში.

ისეთი მძლავრი სუნი უდის მძოვრისა, რომ კაცი სიახლოვეს ვერ მიეკარება: უფრთხის მას ფრინველი, გაურბიან ცხოველები, ვერავინ იტანს მის სიახლოვეს.

მაგრამ არა! ნურც ისე დაობლებული გეგონებათ მურალი კრუბუთი. იმასაცა ჭეავს თავისი მოტრფიალენი, თავისი მოუვარენი, მოთავვანენი.

გაგიგონიათ, რომ არის ისეთი მწერი, რომელიც მარტო მძოვრსა და სიმურალეს ეტანება? აი ამისთან მწერები არიან კრუბუთის ერთგული მოტრფიალენი. მათვეის მისი მერალი სიტკოება-წეაროა უკვდავებისა, მათ ნეტარება, მათი სამოთხე კრუბუთია.

ლადო ალნიაშეილი.





## უსაქმერები.



რი უსაქმური კაცი დანაძლევდენ: ვინც ჩვენში  
 ორი სახათის განმავლობაში პირს არ გააღებს  
 სანაძლეო მას ერგოსო. გავიდენ მინდვრათ, და-  
 სხდენ და გაუუჩდენ. ერთ მათვანს დაამთქნარა და პირი  
 უზომოთ გააღო, მეორემ საჩქაროთ წამოიძახა: — სანაძლევო  
 მე მერგებაო!.. — არა... არ გერგებაო, დასძინა პირველმა  
 და შეუქათ კამათობა. ამ ლაპარაგზე მიესწროთ მესამე,  
 მათივე მეზობელი და რა გაიგო მიზეზი ჩსუბისა, შემდე-  
 ვი სამართალი გაუჩინა: ამ საქმეში ორივენი მტეუანი  
 სართ. ერთმა თუ დაამთქნარა, მეორეს გადის გასვლამდე  
 ხმა არ უნდა ამოეღო. პირობა არივეს დაგირღვევით.  
 კანონით თქვენი სანაძლეო მე მერგებაო, — ხუმრობით და-  
 ამაგრა მოსამართლემ და მშეიდობიანათ დაათავა მათი კა-  
 მათობა.

კოტე გვარამაძე.

აქლემი და კოზაკი.

„ქილილა და დამანიდან“.



არავანში მეოფ აქლემს უკან თავისი კოზაკი მის-  
 დევდა. რა კოზაკი სიარულისაგან მოიქანცა, ტირი-

ლით და წესილით დედას დაუძახა: „შე უწეალო და შეუბრალებელო, იმდენი მაინც მოიცავე, სული მოვიბრუნო და დაღალულობისაგან მცირედ შევისვენოო“. დედა უთხრა: „შე ბრძაო, არა ხედავ, ავმრის თოკი სხვას ხელთა აქეს? ჩემ ნებაზე რომ ვიუო, ჩემ ზურგს ტვირთისაგან და შენ ფეხთ სვლისაგან მოვარჩენდიო“.

### ო რ ი პ ა ვ შ ი .

(ბ. ვაშაძესაგან აუსულიდან ნათარგმნი.)

**ი**რთ ზაფსულს ორი ბავშვი წავიდა ტექში პანტაზე, ერთმა მათვანმა, ოომელიც უმცროსი იუო, უცაბედათ ფეხი წამოჰკრა ფიჩხს, დაეცა და დაიკაწრა პირისახე. ამხანაგმა დაუწეო დაცინება:

—, არა გრცხვენია, შე კაი კაცო, ეგ ფიჩი რა არი, რომ მაგან წაგაქცია. მე ძელიც რომ დამხვედროდა გზაზე არას დოოს არ წავიქცევოდიო!“

გაათავეს-რა პანტის მოკრეფა, ბავშვები წამოვიდენ შინისკენ, მინდვრათ, სწორ გზაზე მოდიოდენ, იმათ ახლოს ბალახებიდან უეცრათ გამოხტა შავი დიდი მაღლი და დაუწეო ემარტვილებს ეეფა. ბავშვებმა შიშით მოჰკურცხლეს, დამცინავი ბავშვი სირბილში წაიქცა, ცხვირიდან სისხლი წაგარდა და მობოჭილი პანტა დაეფანტა.

— შენ რომ დამცინოდა ფიჩხმა როგორ წაგაქციაო, ნაშის მოგებით უთხრა უმცროსმა თავის ამხანაგს, — შენ თითონ ჩემზე უფრო დიდი ხარ და სწორ აკეთებულ გაიშლართე. ეგიც შენი ძელი! აბა კვლავაც დამცინეო.

### ა კ რ ი ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელა შვალისაგან).

ჯვარცმულსა მტრისებან საქართველოსა,  
ეწვია სტუმრათ ღვთისებან წყეული;  
ლამობდა ქართველთ განაღურებას  
ადამიანთა ხოცეას ჩეეული.  
ლახავდა ფეხ-ქვეშ სარწმუნოებას  
ესრეთ გვჩაგრავდა ჩეენ შორეული;  
დიღდა სიონსა იგი ანგრევდა,  
და სწვამდა ხატებს ბრაზ-მორეული.  
იძლია ბოლოს ჩეენის მეფისებან  
ნახეს მრავალთა ის გაქცეული...  
ის მოჰკლა ერთმა ქართველმა მწყემსა;  
აყროლდა მინდვრათ მასი სხეული.

### გ ი მ ი ც ა ნ ა.


(წარმოდგენილი ეფრემ მარჯანიძისაგან).

ერთი რამ უცხო საჭერეტი მას უდის უცხო სუნია,  
ფერი მიუგავს ლალებსა, ყეითელ იაგუნდს გულია,  
ზურმუხტის ფერი ფურცელი მას გარეშემო უვლია  
  
გაგასუქე, გაგალალე, რქანი დიდი გამოგაბი.  
კეირა ძალი შემოვეიდა კუდი ველარ გამოგაბი.



# რებუსი

ტ



6  $\frac{1}{12}$  წლისა,

ის



დათესილი  
პურ.



რთ



5

ი

ეგელაზე  
ეშმაკი  
პირუტყვი.



8



, 100,  $\frac{1}{12}$  წლისა, ის



3



ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

(წარმოდგენილი ვ. ნეკ. მესხ. კ. გვარაშაშავან).

უარშიო შეილი მშობელთაც ნუ გაზღიაო.

პატივს ნურც მოითხოვ, ნურც დაითხოვო.

ტრაბახობა უგვანი კაცის საქმეაო.

ჩქარა გამოსათქმელი.

ეს კაპიტან პრაენიკი, შენ თუ არ გეკაპიტან პრაენიკება,  
მე რატომ ალარ მეკაპიტან მეპრაენიკება.

არითმეტიკული გამოცანა.

(წარმოდგენილი თ. კანდულაჭავან).

ტრედის გუნდს წინ შემოავდა ერთი ტრედი დ მიესალმა: „გამარ-  
ჯობათ ასო ტრედოვ“ — გაგიმარჯოსო, მიუგო გუნდმა: მაგრამ ჩეენ-  
ასი კი არა, ამდენი და ამდენი ვართ; კიდევ ერთი იმდენი, ნახევა-  
რი იმდენი და მეოთხედი იმდენი, რომ მოგვემატოს და შენც რომ  
ჩეენი იყვე, მაშინ ასი ვიქნებოდითო. აბა გამოიცანით რამდენი  
ტრედი იყო გუნდში?



№ V გამოცანებისა.

შარადა: ბოლი, ობოლი, ლობიო, ობი.

3	0	3
0		

ტიტულების ამოცანა:

9	8	7	6	5
0	7	3	0	3

რედქრით-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერილის,

საქართველო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჭ ე ჭ ი ლ ი“

ვ ა ლ ი ზ ა დ ი 2 1 9 1 9

გამოვა 1897 წელს თევზი ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ეურნალში მონაწილეობის შილება აღვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ეურნალი „ჯ ე ჭ ი ლ ი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან.  
ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თეთით „ჯ ე ჭ ი ლ ის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, ვიზე კადეტსკაგი კორპუსი).

2) ქუთაისში—ვ. ბეჭანეიშვილთან,

3) გორიში—არ. კალანდაძესთან.

4) გათუმაში—ა. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) სიღნაღმი—ივან. ქიტიაშვილთან.

6) საჩხერეში—ზარამან ჩხერიძესთან.

7) ელისავეთოვანოში: ა. მიქაბერიძესთან.

8) თიონეთში—ივ. ჩიბალაიშვილთან.

9) ქვირილაში—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

10) ვოთში—ი. აოხრეიძესთან.

ფოსტის აღრესი: Вс. Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскоаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. თუმანიშვილი-წერეთლისა